საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 187 (715) ოთხშაბათი, 25 აგვისტო, 1993 წელი. ფასი 25 კუპონი

პირველი სვეტი

აფხაზეთი: ომის განახლება შეუძლებელია

სოხუმი, 24 აგვისტო. (საქინფორმის საკ. კორ.). სულ უფრო მეტი ადამიანი, რომლებსაც წინათ არ სჯეროდათ აფხაზეთში ომის მალე დამთავრების ამბავი, დღეს იზიარებს რუსეთის საგანგებო სიტუაციათა კომიტეტის თავმჯდომარის სერგეი შოიგუს აზრს. იგი კი მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამხედრო მოქმედების განახლება შეუძლებელია.

მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იზრდება ნდობა აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისიისადმი. ამას მოწმობს, აგრეთვე მკითხველთა ხელახალი გამოკითხვის შედეგები, რომელიც გამართა გაზეთმა „დემოკრატიჩესკაია აბხაზია". კითხვას, უნერგავს თუ არა მათ ოპტიმიზმს დაზავების 24 დღე, დადებითი პასუხი გასცა გამოკითხულთა 62 პროცენტმა, ათი დღის წინათ კი ეს ციფრი 57 პროცენტს შეადგენდა.

ამას ხელს უწყობს სამმხრივი გაერთიანებული კომისიის საინსპექციო ჯგუფის საქმიანობის ფართო საჯაროობა, რომელიც ოპერატიულად და უშუალოდ ადგილებზე ამოწმებს რეაგირებას აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ყოველ ფაქტზე. ჯგუფმა მკაცრი კონტროლი დაუწესა დაპირისპირებული მხარეების მიერ ჯარების დაშორიშორებისა და მათი გაყვანის ვადებისა და გრაფიკის შესრულებას. ჯგუფი დაკომპლექტებულია ექვს ქვეჯგუფად, რომელთაგან სამ-სამი მუშაობს მდინარე გუმისთის ორივე მხარეს.

22 აგვისტოს სამმხრივი გაერთიანებული კომისიის წევრებმა კვლავ გამართეს სხდომა სოჭში, სადაც განიხილეს დაპირისპირებული მხარეების მიერ ჯარებისა და მძიმე ტექნიკის გამოყვანის გრაფიკის შესრულების გრაფიკები.

●

მოითხოვენ პირობების შექმნას

საინფორმაციო სააგენტო „იბერიას" კორესპონდენტის ცნობით, უკვე ორი დღეა სოხუმის ხელისუფლების შენობა ალყაშემორტყმულია სოფლების შრომის, ახალშენის, კამანის მოსახლეობის მიერ, რომლებმაც ორი თვის წინ დატოვეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. მოსახლეობა ხელისუფლებისაგან მოითხოვს მშობლიურ ადგილებზე დაბრუნებისათვის საჭირო პირობების შექმნას, დამწვარ-დანგრეული სახლებისა და მეურნეობის აღდგენას.

ამ სოფლების 3 ათას ლტოლვილზე მეტი დღეს ქ. სოხუმში იმყოფება და დაუყოვნებლივ მოითხოვს საკითხის გადაწყვეტას. ჯერჯერობით კი ისინი იღებენ მხოლოდ საკვებ პროდუქტებს მცირე რაოდენობით და მატერიალურ დახმარებას, რომელიც 4.000 კუპონს შეადგენს.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ინფორმაცია პრესისათვის

ბორის ელცინისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის შედეგების შესახებ

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ. ნ. ელცინისა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ე. ა. შევარდნაძის შეხვედრის შედეგები მხარეებმა ჩამოაყალიბეს ერთობლივ ცნობაში პრესისათვის, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ორი სახელმწიფოს მეთაურები გამოთქვამენ კმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ შეწყდა საომარი მოქმედება აფხაზეთში, ეს კი შესაძლებელი გახდა მხარეთა პოლიტიკური ნებისა და რუსეთის აქტიური საშუამავლო როლის მეოხებით.

ბ. ნ. ელცინი და ე. ა. შევარდნაძე მიესალმებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილეობას სამშვიდობო პროცესში, ვითარების სრული მასშტაბით მოწესრიგების შესახებ მომავალ მოლაპარაკებაში. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა შეასრულონ 1993 წლის 27 ივლისის აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ შეთანხმების ყველა ვალდებულება. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა შეიქმნას პირობები, რათა, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდნენ ლტოლვილები მუდმივი ცხოვრების ადგილებს, აღდგეს რეგიონის სიცოცხლის უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურები, მათ შორის სატრანსპორტო კომუნიკაციები.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა გაიმართოს მოლაპარაკება ქართველ-აფხაზთა და ქართველ-ოსთა კონფლიქტების სრული მასშტაბით მოწესრიგების, მათ შორის მხარეთათვის ურთიერთმისაღებ საფუძველზე სახელმწიფო-პოლიტიკური მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის შესახებ.

თავის მხრივ ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საკითხი გადაწყდება საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის ფარგლებში, რომლის პროექტი ამჟამად მუშავდება.

პრეზიდენტმა ბ. ნ. ელცინმა კვლავ განაცხადა, რომ რუსეთი უცვლელად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურღვევობას, მზად არის დაამყაროს მასთან თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობა.

პრესისათვის ინფორმაციაში ნათქვამია, რომ მხარეებმა დათქვეს, დააჩქარონ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ურთიერთობის სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზის შექმნა, აგვისტოს დამლევამდე გამართონ სახელმწიფო დელეგაციათა მოლაპარაკება, სექტემბერში კი ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის რადიკალური გაუმჯობესება ყველა სფეროში, მათ შორის ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროებში, იქნება კავკასიაში სტაბილურობისა და მშვიდობის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ედუარდ შევარდნაძე:

მოსკოვში გამართული შეხვედრები იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ოპტიმისტურად შევაფასოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მისი გაუმჯობესების თვალსაზრისით

23 აგვისტოს, გვიან ღამით, მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე, თბილისის აეროპორტში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ინტერვიუ მისცა საქართველოს რადიოს.

— ეს იყო ძალზე საჭირო შეხვედრები და საჭირო შეთანხმებები ისეთ მეზობელთან, როგორიც რუსეთია,— თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს გაურკვევლობის ვითარება. მე მგონი, თანდათანობით იქითკენ მივდივართ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის, ბოლოს და ბოლოს, დამყარდება ნორმალური, კეთილმეზობლური და ხელსაყრელი ურთიერთობა. კონკრეტულად თუ ვიტყვით, მიღწეულია ურთიერთგაგება აფხაზეთის კონფლიქტის საკითხებში. დასახულია კონკრეტული გზები შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად, გამოიხატა საერთო პოზიცია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ, ორი ქვეყნის ლიდერები, მივესალმებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, უშიშროების საბჭოს მეთვალყურეთა მონაწილეობას კონფლიქტის მოგვარებაში. მივესალმებით სამშვიდობო ძალების გამოგზავნას.

მე და რუსეთის პრეზიდენტმა მოვილაპარაკეთ, — თქვა შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ, რომ ერთობლივ წერილს გავუგზავნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელშიც გამოვხატავთ ჩვენს პოზიციას. გამოვთქვით მზადყოფნა იმისათვის, რომ ყველაფერი ვიღონოთ, რათა, რაც შეიძლება მალე დაიწყოს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი და, რაღა თქმა უნდა, აღიკვეთოს ისეთი მოვლენები, როგორიც იყო დეპორტაცია, და ეს აღიკვეთება კიდეც. ჩვენ ვისაუბრეთ ამ საკითხის საბოლოო გადაჭრის უფრო ხანგრძლივ პროგრამაზეც, და ასე თუ ისე ურთიერთგაგებას მივაღწიეთ ამ საქმეში. როგორც პრეზიდენტთან, ისე პრემიერ-მინისტრთან მოლაპარაკების დროს შემდეგი ბლოკი საკითხებისა იყო ეკონომიკური ურთიერთობა ამ ეტაპზე, სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით. უნდა გითხრათ, რომ მართლაც სისხლხორცეულად ვართ დაინტერესებული იმით, რომ გამოცოცხლდეს ეკონომიკური კავშირურთიერთობა და გარკვეული კრედიტებიც მივიღოთ. არის დაპირება, რომ რამდენიმე დღეში ეს საკითხი გაირკვევა. ამასთან, საქონელბრუნვის შესახებ წინასწარი შეთანხმებანი, რომლებიც არსებობდა, უნდა ამოქმედდეს. არის იმედი, რომ გამოგვიყოფენ გარკვეული რაოდენობის ენერგომატარებლებს, გვპირდებიან გარკვეული რაოდენობის მარცვლეულის მოწოდებასაც. ეს და ზოგიერთი სხვა საკითხის განხილვა, რომლებზეც საუბარი გვქონდა, გვაძლევს საშუალებას ოპტიმისტურად შევაფასოთ ორი ქვეყნის ურთიერთობა გაუმჯობესების თვალსაზრისით. შევთანხმდით, რომ ამ თვის დამლევამდე დაიწყება და დამთავრდება მოლაპარაკების მეხუთე რაუნდი, რომლის მონაწილეებმა საბოლოოდ უნდა შეათანხმონ ყველა ხელშეკრულების ტექსტი. შევთანხმდით აგრეთვე, რომ დოკუმენტების ხელმოწერა საქართველოში მოხდება სექტემბერში, — თქვა ინტერვიუს დასასრულს სახელმწიფოს მეთაურმა.

სურათზე: შეხვედრის დროს. საქინფორმის ფოტოქრონიკა.

განიხილეს ეკონომიკური თანამშრომლობის პრობლემები

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის 23 აგვისტოს მოსკოვში გამართული სამუშაო ვიზიტის ფარგლებში იმავე დღეს, საღამოს, შედგა მისი შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრთან ვიქტორ ჩერნომირდინთან, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, ორივე მხარის ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელები. ამ შეხვედრამ, რომელზეც განიხილეს ორივე ქვეყნისთვის საინტერესო ფართო წრის ეკონომიკური პრობლემები, ორ საათნახევარს გასტანა.

როგორც ვიქტორ ჩერნომირდინმა შეხვედრის დამთავრებისთანავე გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, არის ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კარგი პერსპექტივები. მან აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში მკაფიოდ მოიხაზება ამ თანამშრომლობის განვითარების, კერძოდ, ურთიერთმიწოდების ყველა მიმართულება. მიგვაჩნია, რომ ეს რეალურია, ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, და დასძინა, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდოს შეთანხმება ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ვიქტორ ჩერნომირდინმა განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას ერთობლივი საწარმოები, ერთობლივი საკუთრება და აღნიშნა, რომ ეს საკითხები უნდა გადაწყდეს თავად საწარმოების დონეზე.

ბრიფინგზე ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ გაგებით მოეკიდნენ პრობლემებს, რომლებიც დღეს საქართველოს აღელვებს. არა მგონია, თქვა მან, რომ ყველა ეს პრობლემა შეიძლება ერთბაშად გადაწყდეს, მაგრამ უფრო გაბედულად უნდა დავადგეთ თანამშრომლობის გააქტიურების გზას, არ დავანგრიოთ ის კარგი, რასაც ათწლეულების განმავლობაში მივაღწიეთ. როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, მხედველობაში აქვს ინტეგრაციული პროცესები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში. ვფიქრობ, თქვა მან, რომ ახლა სწორი გადაწყვეტილებების მიღებას შევძლებთ, რადგან მრავალი პრობლემის გამო მიღწეულია ურთიერთგაგება, რაც კარგ საფუძველს აძლევს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება-გაღრმავებას.

რწმუნების სიგელები გადასცეს

იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა სუმიო ედამურამ 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს გადასცა რწმუნების სიგელები, რომლებიც ადასტურებს მის, როგორც ელჩის უფლებამოსილებას. საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა 1992 წლის აგვისტოს დამდეგს.

რწმუნების სიგელების გადაცემის საზეიმო ცერემონიის შემდეგ, რომელიც გაიმართა საქართველოს პარლამენტის მიღებათა დარბაზში, იაპონიის ელჩი მიიღო ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოსადმი ამომავალი მზის ქვეყნის ინტერესს მოწმობს ის ფაქტი, რომ ბატონ ედამურასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა იაპონელ ბიზნესმენთა ჯგუფი საქართველოს საქმიან სამყაროსთან კონტაქტების დასამყარებლად. ისინი დასახავენ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივებს.

სტუმრებმა იაპონიიდან საქართველოში ჩამოიტანეს ჰუმანური დახმარება.

ნომერში

- განუკითხაობა, ანუ გემი — ქათმის ფასად?! 2-3
- ვინც თადარიგი იმთავითვე დაიჭირა... 3

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი მიანიჭა ვაჭრობაში საქართველოს

შეერთებულმა შტატებმა დაამყარა სავაჭრო ურთიერთობა საქართველოსთან. ეს ოფიციალურად გამოაცხადეს ორშაბათს, 23 აგვისტოს, ვაშინგტონში. გასულ კვირას თბილისში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ და ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანმა ელჩმა ჩვენს რესპუბლიკაში კენტ ბრაუნმა ერთმანეთს გაუცვალეს დიპლომატიური ნოტები ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ამოქმედების თაობაზე, რომლის თანახმადაც საქართველოს რესპუბლიკას ენიჭება ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის სტატუსი. ამრიგად, „მწვანე გზა" გაეხსნა ორმხრივი იმპორტის მოცულობის გადიდებასა და ურთიერთხელსაყრელი საქმიანი კავშირურთიერთობის გაფართოებას.

შეთანხმების შესაბამისად, ამერიკელ ბიზნესმენებს მიენიჭებათ გარკვეული უფლებები საქართველოში. რესპუბლიკის მთავრობამ დაადასტურა, რომ ერთგულობს ამერიკის პატენტების, საავტორო უფლებებისა და სხვა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საქმეს. უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი, ხაზგასმულია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებაში, „გულისხმობს ქვეყნებს შორის ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას; ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის გარეშე იმპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ამერიკაში გაცილებით მაღალი ტარიფებით იბეგრება".

ამერიკის შეერთებულ შტატებთან სავაჭრო ოპერაციებში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმით დღემდე ვერ სარგებლობენ მხოლოდ კამბოჯა, კუბა, ლაოსი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, რუმინეთი, ვიეტნამი და ოთხი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა — აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი. ამასთან, აზერბაიჯანმა, ტაჯიკეთმა და თურქმენეთმა მოაწერეს ხელი შეთანხმებას შეერთებული შტატების მიერ მათთვის უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭების შესახებ, მაგრამ მათ საკანონმდებლო ორგანოებს ჯერ არ განუხორციელებიათ ამ დოკუმენტების რატიფიკაცია.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის შესახებ

განთავისუფლდეს ლერი გოგინეიშვილი საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი, 1993 წლის 23 აგვისტო.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს იოსებ გოგოძე საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი, 1993 წლის 23 აგვისტო.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

პოლკოვნიკ გ. ვაშაკიძისათვის „გენერალ-მაიორის" სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დარგში პოლკოვნიკ გიორგი ვაშაკიძეს „გენერალ-მაიორის" სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე.

საუბარი კრემლში

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი შეხვდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ვლადისლავ არძინბას. საუბრის დროს გამოითქვა კმაყოფილება აფხაზეთში სისხლისღვრის შეწყვეტის გამო. ვლადისლავ არძინბამ მადლიერებით აღნიშნა რუსეთის სამშვიდობო ძალისხმევა, რომლის წყალობით, დაიდო შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი შესრულებისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ, იუწყება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესსამსახური.

საუბრის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ომის გარანტირებული შეწყვეტა გადამწყვეტწილად დამოკიდებულია მხარეების მიერ ამ შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულების ზუსტ და სრულ შესრულებაზე. ისინი იზიარებენ აზრს, რომ ამას ხელს შეუწყობს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და რუსეთის ხელშეწყობით აფხაზეთში სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების უსწრაფესი დაწყება.

გაიმართა აზრთა გაზიარება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანური დახმარების, დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენის საკითხზე.

მოქმედების ვადა გაგრძელდა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც „არასახელმწიფო სავაჭრო საწარმოების დროებითი საფირმო გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 28 ივნისის 665 დადგენილების მოქმედების ვადა გაგრძელდა 1993 წლის დამლევამდე.

რესპუბლიკაში მოქმედი თავისუფალი ფასებისა და მზარდი ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით ზემოაღნიშნულ დადგენილებაში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

მეორე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

2. დაწესდეს 1993 წლის 1 ივლისიდან საფირმო გადასახადის წლიური თანხა სავაჭრო ობიექტის საერთო ფართობის მიხედვით შემდეგი ოდენობით:

— 10 კვადრატულ მეტრამდე ფართობის სავაჭრო ობიექტისათვის — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ოცმაგი ოდენობით;

— 10-დან 20 კვადრატულ მეტრამდე ფართობის სავაჭრო ობიექტისათვის — ყოველ დამატებულ კვადრატულ მეტრზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ორმაგი ოდენობით;

— 20 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის სავაჭრო ობიექტისათვის — ყოველ დამატებულ კვადრატულ მეტრზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ერთმაგი ოდენობით.

უმთავრესი მიზანი უკვე მიღწეულია

ცეცხლი შეწყდა, მაგრამ მხარეთა დაშორიშორების გეგმა ირღვევა

გუდაუთა (იტარ-ტას-საქინფორმი).

22 აგვისტოს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების გაერთიანებული სამმხრივი კომისიის სხდომაზე შეაჯამეს სამხედრო ფორმირებათა გაყვანის გეგმა-გრაფიკის შესრულებისათვის მუშაობის პირველი შედეგები. პირველად, აღნიშნავს კორესპონდენტი, საქართველოს მხარემ დაასახელა მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან ჯარების გაყვანას ზოგიერთი რაიონიდან. ერთი მათგანია ის, რომ არიან შეიარაღებული რაზმები, რომლებიც არ ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ რაზმებმა, როგორც საქართველოს მხარემ განაცხადა, გადაკეტეს გზები დასავლეთ საქართველოში და არის იმის საფრთხე, რომ ხელთ იგდონ სამხედრო ტექნიკა.

ამიტომ სხდომის ზოგიერთმა მონაწილემ გამოთქვა წინადადება, რომ ამ ტექნიკის უსწრაფესი გაყვანისათვის გამოიყენონ საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტი. ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ინიციატივამ შექმნან სპეციალური მეხანძრეთა ჯგუფები, რომლებს „მიეცემათ უფლება ადგილზე მოსპონ სამხედრო ტექნიკა, იქ, სადაც მისი გაყვანა ფერხდება".

მაგრამ 21 ივლისს სოჭში დადებული შეთანხმების უმთავრესი მიზანი უკვე მიღწეულია. ამ დროიდან აქ თანდათანობით მკვიდრდება მშვიდობა.

გაერთიანებული კომისიის მეშვიდე სხდომა

გუშინწინ სოჭში გაიმართა აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისიის სხდომა, რომელზეც შეჯამდა ჯარების დაშორიშორებისა და მათი გაყვანის გეგმა-გრაფიკის შესრულების შედეგები. მხარეებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთის მხარემ გეგმა და გრაფიკი შეასრულა, საქართველოს მხარე კი ვერ ასრულებს. ვადების არაერთგზის გადატანის მიუხედავად, კონფლიქტის ზონიდან ჯავშანტექნიკისა და მძიმე შეიარაღების გატანის საკითხი არ გადაწყვეტილა. ცნობად მიიღეს საქართველოს მხარის განცხადება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მთელი ჯავშანსატანკო ტექნიკა და მძიმე შეიარაღების საბოლოო გაყვანა განხორციელდება 25 აგვისტომდე რკინიგზის ტრანსპორტით ან 1 სექტემბრამდე — საზღვაო ანდა საჰაერო ტრანსპორტით. გადაწყდა, [illegible] შეიარაღება, სხვადასხვა და [illegible] ტექნიკა, რომლებიც ოქმით განსაზღვრული ადგილების გარეთ აღმოჩნდება, დაუყოვნებლივ უნდა მოსპონ სპეციალურმა სამმხრივმა მეხანძრეთა ჯგუფმა, რომელიც გაერთიანებული კომისიის ხელმძღვანელობით მოქმედებს.

25 აგვისტოს [illegible] ფრონტის [illegible] ზონაში შედის 8 გაძლიერებული დროებითი საკონტროლო ჯგუფი. სამხედრო საკითხთა და უშიშროების ჯგუფმა გაერთიანებული კომისიის მომდევნო სხდომისათვის უნდა წარმოადგინოს მოსახსნობი საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და ობიექტების შეთანხმებული ნუსხა. გაერთიანებული კომისიის ერთობლივი ჯგუფები განაგრძობენ მუშაობას იმის თაობაზე, იცავენ თუ არა მხარეები ჯარების დაშორიშორებისა და გაყვანის გეგმა-გრაფიკს.

მხარეები შეთანხმდნენ დაიწყონ შინაგანი ჯარების პოლკისა და ქვეგანაყოფების შექმნა. მიღებულია გადაწყვეტილებანი მთელ რიგ საკითხებზე, კერძოდ, აგვისტოს დამლევამდე ტექნიკის გაყვანის, შინაგანი ჯარების პოლკების შექმნისა და პოლიციის ფუნქციის აღდგენის შესახებ. 27 აგვისტოს აფხაზეთის მხარემ დაგეგმა ყველა ტყვის საქართველოს მხარისათვის გადაცემა. გაერთიანებული კომისიის სხდომის დროს, აგრეთვე, განიხილეს საკითხი აფხაზეთის ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის აღდგენის თაობაზე. გათვალისწინებულია, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ექნება მრავალეროვნული სტრუქტურა. უახლოეს ხანში სპეციალური კომისიები მოაწყობენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა ატესტაციას. გაერთიანებული კომისიის შემდეგი სხდომა გადაწყდა ჩაატარონ სოხუმში 28 აგვისტოს.

ორი დღის ვადაში შეიქმნება ამ ფორმირების ჩამოყალიბების სამმხრივი საატესტაციო კომისია.

თენგიზ ჯიბუტი.



იტყობინება საქინფორმი

შეთანხმების პირობები ძირითადად სრულდება

სოხუმი. ზონებში, სადაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ომი მიმდინარეობდა, 24 აგვისტოს დილით არ ისროდნენ, ისევე როგორც გასული დღე-ღამის განმავლობაში. ეს საქინფორმის კორესპონდენტს აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრში აცნობეს. დაპირისპირებული მხარეები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ეპიზოდურ დარღვევებს ცეცხლის ხაზზე, ძირითადად ასრულებენ სოჭის შეთანხმების პირობებს, არ არღვევენ კონფლიქტის ზონიდან ჯარებისა და მძიმე ტექნიკის გაყვანის გეგმა-გრაფიკს.

სოხუმი შეუფერხებლად მარაგდება ელექტროენერგიით, მუშაობს საქალაქო ტრანსპორტი, ცალკეულ საცხოვრებელ უბნებში უკვე მივიდა წყალი. ორ პურის ქარხანაში რეგულარულად ცხვება პური, რომელიც შეძლებისდაგვარად მაღაზიებს მიეწოდება.

მატარებლებითა და ავტობუსებით ბრუნდებიან ლტოლვილები. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ფრონტისპირა ქალაქის ყველა კუთხეში მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები. ასუფთავებენ ქუჩებს, სკვერებს, პარკებს, ზღვისპირა ბულვარს.

მშობლიურ კერებს უბრუნდებიან

სოხუმი. მრავალი სოხუმელი სერიოზულად შეაშფოთა იმან, რომ მოულოდნელად შეფერხდა სოჭის მიმართულებით სამხედრო ტექნიკის გაყვანა. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს მხოლოდ ტექნიკური მიზეზების გამო მოხდა: არ არის საკმარისი რაოდენობის ბენზინი, დანგრეული გზები ხელს უშლის ტექნიკის ნორმალურ გადაადგილებას. ამ საქმეში თავიანთი დახმარება შემოგვთავაზეს ქალაქის მცხოვრებლებმა. იმის მიუხედავად, რომ კვირა დღეა, ასობით სოხუმელი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში, და უწინარეს ყოვლისა იმ გზებზე წესრიგის დასამყარებლად, რომლებითაც ტექნიკამ უნდა იმოძრაოს.

ადამიანები უბრუნდებიან მშობლიურ კერებს. ამ დღეებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალი სასწავლო წლისთვის მზადებას, სამხედრო კონფლიქტის დროს დაზიანებული სკოლების რემონტს, ინვენტარის, სასწავლო სახელმძღვანელოების შეძენას. სოხუმის ადმინისტრაციამ შექმნა პედაგოგებისა და აქტივისტი მშობლებისაგან დაკომპლექტებული სპეციალური ბრიგადები, რომლებსაც აღრიცხვაზე აჰყავთ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი, არკვევენ ობლებისა და ლტოლვილთა ბედს. მრავალ მოსწავლეს გადასცემენ ჰუმანურ დახმარებას, ისინი უფასოდ მიიღებენ წიგნებს, სასწავლო სახელმძღვანელოებს.

სიმინდის უხვი მოსავალი იქნება

აფხაზეთის ინფორმაციულ-ანალიტიკური ცენტრი „აისი“ გადმოგვცემს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრთან თენგიზ ჩაჩიბაიასთან საუბრისას შევიტყვეთ, რომ წლეულს საზოგადოებრივ მეურნეობებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე, რომლებიც 17 ათას 300 ჰექტარს შეადგენს, დაითესა სიმინდი, ამასთან 4-5 ათას ჰექტარზე შერეულად დათესილია ლობიო. მინისტრის ვარაუდით, ჰექტარზე საშუალოდ 3-3,5 ტონა მოსავალს მოიწევენ, რაც 48-50 ათას ტონა სიმინდს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ წლეულს სიმინდის უხვი მოსავალი იქნება.

ბატონმა თენგიზ ჩაჩიბაიამ აღნიშნა, რომ მდინარე გუმისთის აქეთა მხარეს თამბაქო დარგულია მხოლოდ 50 ჰექტარზე. ძირითადად თამბაქოსთვის განკუთვნილ ფართობებზე მოსახლეობამ სიმინდი და ლობიო მოიყვანა. მოკრეფილია 7 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

არასახარბიელო ვითარება შეიქმნა მეცხოველეობის დარგში: აღსადგენია 80 ფერმა, იმ 24 ათასი სულიდან, რომელიც შარშან ჰყავდათ, ამჟამად დარჩა მხოლოდ 550 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

ყველაფრის მიუხედავად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი ოპტიმისტურად არის განწყობილი და მიაჩნია, რომ მომავალი ზამთრის არ უნდა გვეშინოდეს.

არ ჰყოფნით პური

ხობი. ხობში მწყობრიდან გამოვიდა პურის ქარხანა. ზედიზედ მესამე დღეა გრძელდება სარემონტო სამუშაოები, მაგრამ — უშედეგოდ. განსაკუთრებით ზარალდება სოფლის მოსახლეობა. მაგალითად, სოფლებში ბულიშში, განთიადში, ბიაში, ნოჩხონში და სხვაგან, უკვე რამდენიმე დღეა აშკარად არ ჰყოფნით პური, არც ფქვილი აქვთ.

ობიექტებს კოლექტივები ყიდულობენ

ზუგდიდი. 22 აგვისტოს მდგომარეობით ზუგდიდის რაიონში მოკრეფილია 8600 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც 6100 ტონით ნაკლებია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით.

აქ დაიწყო ეგრეთ წოდებული მცირე პრივატიზაცია — სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების გაყიდვა. პრივატიზების დროს გამოიყენება კონკურსის მეთოდი. აღსანიშნავია, რომ სადღეისოდ გაყიდული ყველა ობიექტი შეისყიდეს თვით ობიექტების ყოფილმა კოლექტივებმა.

ქუთაისის მერიას მიენიჭა დამატებითი უფლებამოსილებანი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით ქალაქ ქუთაისის მერიას მიენიჭა დამატებითი უფლებამოსილებანი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ახლად მინიჭებული უფლებების მიხედვით მერია გადაწყვეტს ქალაქ ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხებს და განახორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს, დაამტკიცებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ტერიტორიულ და დარგობრივ სტრუქტურებს რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით.

მერიას ნება დაერთო მოახდინოს მუნიციპალურ საწარმოთა პრივატიზება და აქციონირება შესაბამის სამინისტროსთან შეთანხმებით და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით. მას ასევე ნება ეძლევა განახორციელოს მიწის ფონდისა და სახელმწიფო ქონების მართვა, აწარმოოს მიწების სახელმწიფო კადასტრი, გადაწყვიტოს იურიდიული და ფიზიკური პირების მიწათსარგებლობის საკითხები ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის გათვალისწინებით, შესაბამის კომიტეტთან შეთანხმებით.

ქალაქის მერიას უფლება აქვს გადაწყვიტოს მუნიციპალურ მეურნეობაში უცხოური კაპიტალის დაბანდების საკითხები, წარმართოს საზღვარგარეთის ქალაქებთან ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობა, მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, შეისყიდოს ქალაქის საწარმოთა მიერ გამოშვებული და თავისუფალ ვაჭრობაში ჩართული პროდუქცია, განსაზღვროს დაზოგილი ვალუტის ხარჯვის წესები, უცხოურ და სამამულო ფირმებთან შექმნას და მართოს ერთობლივი საწარმოები, სხვადასხვა დარგები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემოიღოს ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები.

ქუთაისის მერია უფლებამოსილია განახორციელოს ეკონომიკური რეფორმები, სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ დააარსოს წარმომადგენლობები და განსაზღვროს მათი სტატუსი.

სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით დამტკიცდა აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მმართველობის შესახებ დროებით დებულებებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები.

ცხინვალში რუსული მანეთი ბატონობს

ცხინვალში მცხოვრები ოსისათვის კუპონი ისეთივე უცხო ვალუტაა, როგორც თბილისელი ქართველისათვის დოლარი. ეს ფაქტი ე. წ. სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკის არსებობას უკავშირდება.

დღეს ამ „რესპუბლიკის“ დედაქალაქ ცხინვალში ამჟამად არსებული ოცდაორი სამინისტროსა და ოთხი კომიტეტის ხელმძღვანელები თავიანთი უმაღლესი საბჭოს „საკანონმდებლო“ ძალის მქონე გადაწყვეტილებების ხორცშესხმისათვის აქტიურად იღვწიან.

— გული მტკივა, რომ ჩემი ქართველი მეზობლები ვერ ბრუნდებიან ცხინვალში, — სინანულით აღნიშნა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ცხინვალელმა პედაგოგმა, რომლის ვინაობასაც, მისივე თხოვნით, არ ვასახელებთ.

— მართალია დაგომისში მიღწეული შეთანხმების თანახმად, — აგრძელებს ჩვენი თანამოსაუბრე, — ცეცხლი შეწყდა, მაგრამ შეთანხმების ყველა მუხლი როდი სრულდება. ოსი ექსტრემისტები თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ საქართველოში შექმნილ მძიმე ვითარებას: უმოწყალოდ ანადგურებენ ტყეს, დიდი რაოდენობის ხე-ტყე გააქვთ როკის გვირაბით, განმკითხავი არავინ არის. ამავე გვირაბით ეზიდებიან კვაისის მაღაროს სიმდიდრეს — ტყვიის კონცენტრატებს...

„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“ გულუხვად აფინანსებენ ჩრდილოეთ ოსეთის და მოსკოვის გარკვეული რეაქციული წრეები. ცხინვალში მხოლოდ რუსული მანეთი ბატონობს, ქართული კუპონი საერთოდ არ არსებობს.

მხედველობაში მიიღონ ჩვენი აზრი...

საქართველოს პარლამენტართა მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი ბატონ ბუტროს გალისადმი

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო გენერალურო მდივანო!

1993 წლის 8-10 აგვისტოს აფხაზმა სეპარატისტებმა შეკრიბეს ბზიფის ზონაში დარჩენილი 300-მდე ქართველი ეროვნების ადამიანი, ძალის გამოყენებით აიძულეს ისინი დაეწერათ განცხადებები თავიანთი სახლების მფლობელობაზე ხელის აღების შესახებ და მდინარე ფსოუზე საქართველო-რუსეთის საზღვრის გადაკვეთით გადაიყვანეს ადლერში, რითაც ფაქტობრივად დაასრულეს მდინარე გუმისთის დასავლეთით მდებარე ტერიტორიის ეთნიკური წმენდა. ამ ოპერაციის პროცესში მათ დახვრიტეს უიარაღო მშვიდობიანი მოსახლეები: მარი და ეკატერინე ხვისტანები, 10 წლის თამილა კიკვაძე, ფაცია პაქელიანი, 14 წლის ზაზა ტეშოვი, ეროდი მარგიანი, თვალია, გრიგოლ და თამარა გუგუშაშვილები, გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს მშვიდობიანი მოსახლეები — მარგალიტა ხვისტანი, ჩიჩი, ძაძუ, მურმან და თემურ ქოჩქიანები, ამირან ქალდანი, გივი კიკვაძე, ზურაბ და მურზა ხარზიანები, ბუდუ ჯაფარიძე, ანზორ რატიანი. ადლერში გაყვანილი ქართველი მოქალაქეები ვარაუდობენ, რომ ეს უკანასკნელნიც დახვრეტილნი არიან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძირითადი ძალა, რომელიც აკონტროლებს აფხაზეთის ტერიტორიას მდ. გუმისთიდან საქართველო-რუსეთის საზღვრამდე, არის რუსეთის რეგულარული არმია. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც არ აძლევს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას ამის საშუალებას, რომ დაიცვას თავისი მოქალაქეების სიცოცხლე ზემოხსენებულ ზონაში, არის აქ ამ შეიარაღებული ძალის ყოფნა. ამგვარად, პასუხისმგებლობა ამ დანაშაულზე, რაც ამ ზონაში მოხდა ქართველი მოსახლეობის მიმართ, ძირითადად რუსეთის ფედერაციას ეკისრება. თქმულიდან გამომდინარე, დაუშვებლად ვთვლით რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობას იმ სამშვიდობო ძალებში, რომელთაც გაეროსგან დაევალებათ კონფლიქტის რეგულირება აფხაზეთში. ვთხოვთ, გაეროს გენერალურ ასამბლეას და უშიშროების საბჭოს, მხედველობაში მიიღონ ჩვენი აზრი და არ დაუშვან რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობა გაეროს სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში აფხაზეთში.

საქართველოს პარლამენტის წევრები:

ადამია რევაზ, ადამია ჯემალ, ბარამიძე გიორგი, ბარამიძე მალხაზ, ბასილია თეიმურაზ, ბაშალეიშვილი დავით, ბახტაძე დემურ, ბერიძე რუსუდან, ბერიძე ჯემალ, ბერძენიშვილი დავით, ბობოხიძე აკაკი, ბუზალაძე ვასილ, გაზდელიანი თენგიზ, გამყრელიძე თამაზ, გაჩეჩილაძე გიორგი, გელოვანი თენგიზ, გეწაძე გურამ, გიგინეიშვილი მანანა, გუგუნავა ალექსანდრე, დევდარიანი ნანა, დვალიშვილი მალხაზ, დიხამინჯია თენგიზ, ელოშვილი ომარ, ზუხბაია ოთარ, თირქია ლედი, იორამაშვილი გივი, იოსელიანი არჩილ, კაკუბავა ბორის, კალაძე რობინზონ, კახაძე კახაბერ, კეკელია შალვა, კვანჭილაშვილი მალხაზ, კიკაბიძე კობა, კობაიძე ალექსი, კობახიძე გიორგი, კობერიძე ნუგზარ, კოვზირიძე დავით, კორძაძე გაიოზ, კოლუაშვილი პაატა, კოხია ოთარ, კოხრეიძე ნოდარ, კუპრავა რაულ, კუპრეიშვილი დავით, კურტანიძე ჯუმბერ, ლიპარტელიანი როინ, ლობჟანიძე გივი, ლომინაძე გივი, ლომსაძე ბორის, მამალაძე ლევან, მამრაძე პეტრე, მამულია გურამ, მანძულაშვილი მიხეილ, მგელიაშვილი თეიმურაზ (ჯუბო), მეგუთნიშვილი სოსო, მელაშვილი ირაკლი, მელიქიშვილი დავით, მესხი ლევან, მუსელიანი ვახტანგ, ნადარაია ამირან, ნადარაია ნუგზარ, ნადარეიშვილი თამაზ, ნათაძე ნოდარ, ნათელაშვილი შალვა, ნიკოლაიშვილი გელა, ობგაძე თამაზ, ოთარაშვილი ვაჟა, პაატაშვილი თედო, ჟვანია ზურაბ, ჟორჟოლიანი გია, ჟორჟოლიანი თეიმურაზ (ოლქი № 1), ჟორჟოლიანი თეიმურაზ (ოლქი № 6), როგავა გაიოზ, საყვარელიძე რამაზ, საყვარელიძე ფრიდონ, საჯაია ჯემალ, სუმბათაშვილი თეიმურაზ, ტალახაძე ვახტანგ, ურიდია მერაბ, უსტიაშვილი გურამ, ფალავა ასლან, ფაჩუაშვილი ბესარიონ, ფაცაცია გერმანე, ქადაგიძე დავით, ქარცივაძე ნოდარ, ქაშაკაშვილი ამირან, ქაჯაია მერაბ, ღარიბაშვილი ქართლოს, ღოღობერიძე ლანა, ყორანაშვილი გურამ, შელია გურამ, შენგელია ზურაბ, ჩარკვიანი ჯანსუღ, ჩარქსელიანი ანზორ, ჩხეიძე თამარ, ჩხეიძე პაატა, ჩხენკელი მიხეილ, ცინცაძე თამაზ, ციციშვილი ჯიმშერ, ციხისთავი გია, ძაბირაძე ვახტანგ, ძაგნიძე შოთა, წერეთელი ირაკლი, წითლანაძე გიორგი, წოწონავა ანზორ, წულაია გიორგი, ჭავჭავაძე ნიკოლოზ, ჭელიძე ივერი, [illegible]მარაული გიორგი, ხაინდრავა ივლიანე, ხარატიშვილი იოსებ, ხვედელიძე გივი, ხიზანიშვილი რამაზ, ხმალაძე ვახტ[illegible], ხომერიკი ვასილ, ხურციძე ბეჟან, ხუციშვილი ომარ, ჯეირანაშვილი ნიაზ, ჯიბლაძე ალექსანდრე, კალანდია გენო, ჩაკვეტაძე მურთაზ.

ეს გონივრულია, ამიტომ—მისალმები

არსდება ქართულ-რუსულ მეცნიერულ ურთიერთობათა საზოგადოება

ახლა, როცა თითქმის განადგურებულია საქართველოს ეკონომიკა, მოუგვარებელი პრობლემებით და ჩიხში მომწყვდეული პერსპექტივებით ვის გააკვირვებ. მაგრამ ის ვითარება, რომელშიც აღმოჩნდა ჩვენი მეცნიერება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნამდვილად კატასტროფულია. მოიშალა ამდენი წლის კავშირები ყოფილ საკავშირო და რუსეთის აკადემიებთან, უნივერსიტეტებთან, დარგობრივ აკადემიებთან, ყოფილი „მოძმე რესპუბლიკების“ სამეცნიერო ცენტრებთან და ჩვენი მკვლევარები ნამდვილ ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდნენ. სამეცნიერო საკვლევი დაწესებულებები ძველი არხებით ვეღარ მარაგდებიან ხელსაწყო-დანადგარებითა და რეაქტივებით, — ამის გამო თითქმის სტაგნაციის მდგომარეობაშია ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის ინსტიტუტები. ადრე ყოველწლიურად რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების სამეცნიერო ცენტრებში ორი ათასამდე ასპირანტი, მეცნიერი მუშაკი და სტუდენტი იგზავნებოდა, ქართველი მეცნიერები 300-მდე სიმპოზიუმის მუშაობაში ღებულობდნენ მონაწილეობას, სრულდებოდა ერთობლივი ფუნდამენტური გამოკვლევები საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში.

და აი, ეს ყველაფერი მოიშალა. ყველა კავშირი უეცრად დაირღვა, გაწყდა, თითქოს მაკრატლით გადაჭრეს.

ორიოდე წლის წინ ამ კავშირების აღდგენის მცდელობაზე ლაპარაკიც კი უდიდეს მკრეხელობად ჩაითვლებოდა. ქართველი ერის რამდენი სამაყო შვილი ევნო და ეწამა რუსულ კულტურასთან, რუსეთის მეცნიერებასთან ნაზიარობის გამო! რამდენი რამ (და მთლიანად — ქვეყნის ეკონომიკაც!) შეეწირა ყოფილი ხელისუფლების იდეოლოგთა ურაპატრიოტულ ლოზუნგებს.

რა თქმა უნდა, ამერიკისა და ევროპის აკადემიებთან თანამშრომლობა დიდად წაადგება ჩვენი მეცნიერების განვითარებას და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გამალებით ეძებს ამგვარ კონტაქტებს, რამდენიმე დღის წინ გაფორმდა ხელშეკრულება დიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიასთან, რომელიც ბრიტანეთში 150 ქართველი მეცნიერის მივლინებას ითვალისწინებს. მაგრამ სად 150 და სად 2 ათასი!

შარშან მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ხელშეკრულება გააფორმა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან, მაგრამ ეს ხელშეკრულება ვერ ამუშავდა და ქაღალდზე დარჩა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ვერ დაიდო რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი ხელშეკრულება.

დრო არ ითმენს და ამიტომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა კონტაქტის ახალი ფორმა გამოეყენებინა — დაეარსებინა ქართულ-რუსულ მეცნიერულ ურთიერთობათა საზოგადოება. ამას წინათ გაიმართა საინიციატივო ჯგუფის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ აკადემიის წევრები და ამ სისტემის სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ალეკო თავხელიძემ კრების გახსნისას დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა ის უმძიმესი ვითარება, რომელშიც იმყოფება ჩვენი მეცნიერება (აი, მის მიერ მოყვანილი ერთ-ერთი ფაქტი: აკადემიაში დღეს 500-მდე კომპიუტერი აქვთ. ყოველწლიურად ამათგან დაახლოებით 10 წყობიდან გამოდის და მათი დეტალების შეძენას 200 მილიონი მანეთი სჭირდება, რაც, აკადემიას არ გააჩნია). პრეზიდენტმა ისაუბრა ახალი საზოგადოების მიზნებზე, მის პერსპექტივებზე. აღნიშნა, რომ ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოთქვეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სწავლულებმაც.

კრებამ მოიწონა ასეთი ინიციატივა. გადაწყდა, რომ სექტემბერ-ოქტომბერში მოწვეულ იქნას საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა.

რა აზრისა არიან ამ საზოგადოების დაარსებაზე ქართველი მეცნიერები?

აკადემიკოსი კოტე წერეთელი:

საქართველო-რუსეთის მეცნიერულ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჩვენი უფროსი თაობის მეცნიერები რუს მეცნიერთა შორის აღიზარდნენ და შემდგომ საფუძველი ჩაუყარეს მრავალ მეცნიერულ დარგს საქართველოში. რუსეთის აკადემიებში მოღვაწეობდნენ ქართველი მეცნიერები.. მართალია, ჩვენ კავშირები გვაქვს ამერიკის, ევროპის სამეცნიერო ცენტრებთან, მაგრამ რა შედარებაა ინტენსივობის მხრივ!

აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე:

ტექნიკურ მეცნიერებას განსაკუთრებით სჭირდება რუსეთთან კონტაქტები, იშვიათია ჩვენში მეცნიერი, მოსკოვის ან სანქტ-პეტერბურგის სკოლა რომ არ გაევლოს. ჩვენ კავშირი გვაქვს დაახლოებით მსოფლიოს 30 ქვეყანასთან, 40 სასწავლებელთან, მაგრამ რა ძნელია იქ სასწავლებლად თუნდაც ერთი ასპირანტის გაგზავნა. მაშინ, როცა რუსეთში [illegible]

ხიდები

[illegible] ბევრ სიკეთეს მოველით ამ კავშირებიდან. ახლა იქმნება გლობალური ტელეკომუნიკაციის ცენტრი და ჩვენ გვთავაზობენ, ამ ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი ვიყოთ.

აკადემიკოსი მალხაზ აბდუშელიშვილი:

მე რუსეთის ანთროპოლოგების შვილი ვარ და სრულიადაც არ მსურს, უმადური შვილი ვიყო. მართალია, ქართველ მეცნიერებს პირადი კონტაქტები გვაქვს რუსეთის მეცნიერებთან, მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა, ამ კავშირებს მიეცეს ორგანიზებული ხასიათი.

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე:

ქართველი მეცნიერები არასოდეს დაივიწყებენ იმ ღვაწლს, რუსეთის გამოჩენილმა მეცნიერებმა რომ დაგვდეს. ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი და მრავალი სხვანი — ეს დიდებული პიროვნებები მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, ხარკოვის, ტარტუს უნივერსიტეტებში აღიზარდნენ. როგორ გვაკლია არქეოლოგებს ის სამეცნიერო ფორუმები, რომლებზეც ყოველწლიურად ქვეყნის არქეოლოგები იკრიბებოდნენ და ერთმანეთს უამბობდნენ თავიანთ აღმოჩენებზე. ეს მასალები ქვეყნდებოდა ჟურნალში „Археологические открытия“ და მსოფლიოსთვის ცნობილი ხდებოდა. თუ ეს კავშირები არ აღდგა, ჩვენი მეცნიერება ჯეროვნად ვერ განვითარდება.

აკადემიკოსი ელენე ვირსალაძე:

ვერავითარი ევროპა და ამერიკა ვერ შეცვლის ჩვენს სამეცნიერო ურთიერთობას რუსეთთან, ისეთი ხანგრძლივი, ნაყოფიერი და შედეგიანი იყო ეს ურთიერთობანი. ვახტანგ მეექვსეს ემიგრაციაში 1.200 ქართველი გაჰყვა — ნაღები ქართული ინტელიგენციისა. ეს ქართული კოლონია შემდგომ დაიქსაქსა მთელს რუსეთში, უკრაინაში და შექმნა ძალიან საინტერესო ლიტერატურა: რუსეთის მრავალი დიდი ქალაქის ბიბლიოთეკებში მოიპოვება ქართული კულტურის უძვირფასესი წყაროები. მაგალითად, სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში ინახება უძვირფასესი კოლექცია იოანე ბატონიშვილისა. თუ ჩვენ ეს მასალები არ დავამუშავეთ, ქართული ლიტერატურის ისტორიაში დიდი ხარვეზი დარჩება. ადრე პეტერბურგში არსებობდა უძლიერესი ქართველოლოგიური სკოლა. ახლა ასეთი სკოლა აღარ არის, არც იქ და არც სხვაგან (წარმოიდგინეთ, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტშიც კი.) არმენოლოგიური, საკმაო მძლავრი სკოლები კი რუსეთში მომრავლდა.

აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე:

ქართველ მეცნიერთა ნაღვაწს იცნობენ და აფასებენ რუსეთში. როდესაც ჩვენ რუსეთს ვახსენებთ, მხედველობაში გვაქვს არა ჟირინოვსკებისა და „პამიატის“ რუსეთი, არამედ პროგრესულად მოაზროვნე რუსეთი. იქ ჯეროვან პატივს მიაგებენ გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს, მათ შორის ილია ვეკუას, ევგენი ხარაძეს, ალეკო თავხელიძეს.. დრო იყო, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილთან მიღებაზე მოსახვედრად რიგს იკავებდნენ სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები. კავშირები ქართველ და რუს მეცნიერთა შორის უნდა აღდგეს, ამას ალტერნატივა არა აქვს.

აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი:

ოდესაში მოღვაწეობდა მთელი პლეადა გამოჩენილი ქართველი მეცნიერებისა. მელიქიშვილის მოწაფე იყო აკადემიკოსი ზელინსკი, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქიმიკოსი, ასევე პისარჟევსკი. ამ ორმა უდიდესმა მეცნიერმა შემდგომ ბევრი გააკეთა ქართველ მკვლევართა თაობების აღზრდისათვის.

აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი:

პეტერბურგის უნივერსიტეტში პირველად ნიკო მარმა შემოიღო ქართული ენის კურსი. მსურველები ცოტა იყო, ამიტომ, კურსი რომ არ გაუქმებულიყო, ის იქ საკუთარ ცოლს ატარებდა და ისეთი ენთუზიაზმით კითხულობდა ლექციებს, თითქოს სავსე აუდიტორიის წინაშე გამოდიოდა. დღეს ასეთი კურსი აღარ არსებობს...

ჩვენი ეს შეხვედრა დიდად ესადაგება დღევანდელი საქართველოს ინტერესებს. აქნებ დავაფიქსიროთ ის უპასუხისმგებლო ადამიანები, ვისაც დღენიადაგ რუსეთის ლანძღვა აკერია პირზე! ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი სულ იმას გაჰყვიროდა — რუსეთი ჩვენი მტერიაო! განა შეიძლება სახელმწიფოს მეთაური, პოლიტიკოსი ხმამაღლა აცხადებდეს, ვინ არის მისი მტერი? ის ხელისუფლება წავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემს სიტყვებს აქტუალობა არ დაუკარგავს.

არც თურქეთს, არც სპარსეთს ჩვენთვის ნაკლები (თუ მეტი არა!) უბედურება არ მოუტანია. თუ მათთან შეიძლება ურთიერთობის აღდგენა, რატომ რუსეთთან არ შეიძლება? არც გადამეტებული ქება, არც ლანძღვა-გინება! ღირსეულად დავიჭიროთ თავი, ქვეყნურად და კეთილმოსურნედ. დამერწმუნეთ, ამით მხოლოდ მოვიგებთ.

ნანული ბარათაშვილი.

მამულს უნდა ვუშველო

იყიდება ქართულ

ანუ გემი–ერთი ქათა

მახსოვს, ამ რამდენიმე თვის წინათ აჭარაში დაგეგმილი ეკონომიკური ზონისთვის წინაპირობების შექმნასა და პერსპექტივებზე რომ ვსაუბრობდით, ბატონმა ასლან აბაშიძემ სინანულით მითხრა:

— ცხადად ვხედავ იმას, რასაც ჩვენ ვაპირებთ, მართვის დღევანდელი მექანიზმი არ გამოდგება. თითქოს ყველაფერი გავითვალისწინეთ, მთავრობა თანამოაზრეებით დავაკომპლექტეთ, პროგრამაც სათანადო შევიმუშავეთ, მაგრამ საქმე ადგილიდან მაინც ვერ დაიძრა. ახლა, როცა აჭარაში გვაქვს სათანადო პირობები ახლებურად აზროვნებისა და მოქმედებისათვის, მაინც უჭირს ამ ხალხს, გამოვიდეს ძველი ტრადიციული აზროვნების ტყვეობიდან.

რაში ხედავთ-მეთქი გამოსავალს, ვკითხე.

რაში და, როცა თვალნათლივ რწმუნდები იმაში, რომ ყველა შენი ცდა ხშირად ხელოვნურად ფერხდება და შედეგი არ ჩანს, [illegible] იძულებული ხარ მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო.

და აიღო კიდეც! ეს მოხდა მაშინ, როცა იფეთქა სამაჩაბლომ, შიდააშლილობამ, განუკითხაობამ. მაშინ ასლან აბაშიძემ გადადგა ასეთი რადიკალური ნაბიჯი და როგორც შემდგომ გამოირკვა — არც შემცდარა. საერთო გაჭირვების, უმოქმედობისა და უკონტროლობის ფონზე მან შეძლო შეენარჩუნებინა აჭარაში სიმშვიდე და წესრიგი, შრომისა და აღმშენებლობის რიტმი და ატმოსფერო. ეს, როგორც იტყვიან, გაჭირვებიდან, კრიზისიდან დროებით თავის დაღწევის მცდელობა იყო. მაგრამ ამასთან ისიც იყო, რომ მან მოძებნა და უზენაეს საბჭოს აპარატში მოიყვანა ნიჭიერ ახალგაზრდა ეკონომისტთა და სპეციალისტთა ჯგუფი, მოიწვია საზღვარგარეთელი ექსპერტები, რომლებიც ერთობლივად შეუდგნენ მუშაობას ისეთ პროექტებზე, რომლებიც აჭარაში მიმდინარე ეკონომიკური, სამეურნეო თუ სოციალური პროცესების განვითარებასთან ერთად, მართვის მექანიზმის შექმნასაც ითვალისწინებდა...

არ უნდა ბევრი ფიცი და მტკიცი, რომ აჭარაც ისევე იყო მიბმული არქაული მართვის მექანიზმზე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონები. ამიტომაც რესპუბლიკის მთავრობის გადადგომას მყისვე მოჰყვა ადეკვატური რეაქცია — ასლან აბაშიძემ პრინციპულად მოსთხოვა გადადგომა აჭარის მთავრობასაც.

ასე რომ, ახლა ერთი თავსატეხი და სატკივარი აქვს როგორც ცენტრალურ, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებსაც, — ვეძებთ სტრუქტურებსა და მექანიზმებს, რომელმაც უნდა გამოგვიყვანოს შექმნილი ქაოსიდან, რომელიც ჩვენვე შევქმენით ხელოვნურად გახანგრძლივებული სამთავრობო კრიზისით. სწორედ ამის შედეგად მივიღეთ ის, რაც დღეს გვჭირს და გვხუთავს — გაჩერებული საწარმოები, ურთულესი კრიმინოგენური ვითარება, სახელმწიფო ქონების ძარცვა-გლეჯა, მაფია და სხვა უბედურება. სწორედ სამთავრობო კრიზისმა, საკონტროლო მექანიზმის მოშლამ, დაუსჯელობის პრინციპის დამკვიდრებამ შექმნა ისეთი ატმოსფერო, რომელმაც ხელფეხი გაუხსნა მაფიის დამკვიდრებას ჩვენი ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში. აბა, ადრე ვინმე მოიფიქრებდა იმას, რომ ეს განუკითხაობა ფეხს მოიკიდებდა ისეთ უბანზე, როგორიცაა ჩვენი საზღვაო სანაოსნო, ქართული ფლოტი, რომლის დამოუკიდებლობასაც ასე სულმოუთქმელად ველოდით?

წლის დასაწყისში მეც ვწერდი ჩვენი მეზღვაურების, ამ სახელოვანი კოლექტივის ავ-კარგზე, გეგმებზე, პერსპექტივებზე. მაგრამ ახლა, როცა წინ მიდევს აჭარის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება აქ გამოვლენილი სერიოზული დარღვევების შესახებ, ნათლად ვგრძნობ, რომ მარტო მიმზიდველი ჟურნალისტური თემა არაფერს ნიშნავს, თუ ღრმად არ ჩასწვდი, არ ჩაიხედე მოვლენებში... მაგრამ ისიც არის, ჩაგახედებენ?

დღევანდელი გადასახედიდან კი ასე გამოიყურება საზღვაო დეპარტამენტის მთელ სისტემაში შექმნილი ვითარება:

მოხდა წარმოუდგენელი რამ — საყოველთაო ქაოსმა და განუკითხაობამ საზღვაო ფლოტისათვის დამახასიათებელი უმკაცრესი კანონებიც და რეჟიმიც კი დათრგუნა. თითქმის ყოველდღიურ პრაქტიკად იქცა კონტრაქტებით გათვალისწინებული პირობების, საფინანსო დისციპლინის დარღვევა, ქურდობა-დატაცება, ნარკომანია — აქაც იმძლავრა პირადი გამორჩენის მაძიებელი ფირმების, კომპანიების, ცალკეული თაღლით-საქმოსნების ნაკადმა, რადგან, როგორც ამბობენ, საზღვაო გარიგებათა მთელ სისტემაში, მით უმეტეს მაშინ, როცა ზღვაც და კოლექტივიც, სინდისიც და ნამუსიც ამღვრეულია, ადვილი შესაძლებელია კარგა მოზრდილი „მილიონებიც“ დაიჭირო... და, იჭერდნენ კიდეც.

ჩემი თანამოსაუბრე — აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლევან ჟღენტი დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა ჯერ ბათუმის, შემდგომ კი ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურაში და, პროკურორული ენით რომ ვთქვათ „ახორციელებდა ზედამხედველობას ფლოტში კანონების შესრულებაზე“.

აი, წინ გვიდევს აჭარის პროკურატურის წარდგინება უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, რომელშიც იმდენი დარღვევა და დანაშაულია აღწერილი, რომ მათ ჩამოთვლას მთელი გაზეთი ხრ ეყოფა. სპეციალისტის კომენტარი კი ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, უფრო წაადგება საქმეს:

— მოგეხსენებათ, საქართველო საზღვაო რესპუბლიკაა. ბევრი ქვეყანა ნატრობს ასეთ სტატუსსა და შესაძლებლობას. მაგრამ ეს მარტო ლამაზი სიტყვები ან ცნება როდია. ამას თავისი ფუნქციურ-სამართლებრივი თუ მატერიალურ-კულტურული დატვირთვა აქვს ყველა ქვეყანაში. ჩვენთან როგორაა საქმე? — საზღვაო რესპუბლიკობა გვინდა და გვსურს, მაგრამ ჯერაც არსებითი არაფერი გაგვიკეთებია იმისათვის, რომ ეს ცნება საქმედ და რეალობად გვექცია. ვისაც სადმე რა მოსჭარბდება, საზღვაო საქმესაც, სანაოსნოსაც და დეპარტამენტსაც იქ მიაბამს. განა ასე არ არის ჩვენთან? — მთელი ტრანსპორტი ერთ სამინისტროში გავაერთიანეთ, ზედ საზღვაო სანაოსნოც მივატმასნეთ და გვეგონა საქმე გავაკეთეთ.. შეიძლება კაცმა, რომელსაც ზღვა თვალით არ უნახავს და გემი ერთხელაც არ დასიზმრებია, თბილისიდან უხელმძღვანელოს ამ სპეციფიკურ დარგს? სამაგიეროდ ასეთ ხალხს, რომ იტყვიან, ე. წ. „სათავისო იდეები“ არ აკლიათ. მაგალითად ასეთი: ერთხელ ტრანსპორტის სამინისტროში გადაუწყვეტიათ — ბერძნებთან ერთად შეექმნათ ერთობლივი საწარმო. მორიგდნენ კიდეც — რომ მოგება სანახევროდ გაეყოთ. ამ „ნახევარი შენ — ნახევარი მე“-ს პრინციპმა, რომ იტყვიან, სარსარით დახოცა ჩვენი მეზღვაურები, რომლებსაც ამ გემების მთელი მოგება მთლიანად შემოსქონდათ დეპარტამენტში. ეტყობა, „ნახევარი შენ — ნახევარი მე“-ს პრინციპი ერთობ მიმზიდველი რამ არის, თორემ აბა, რომელი ჭკუათამყოფელი მოითხოვს ნახევარს, როცა მთელი ჯიბეში უდევს. თუმცა არის მომენტები, როცა ასეთი საწარმოც საჭიროა, ოღონდ გააჩნია, მოგება როგორ გაიყოფა.

— ერთი სიტყვით, თქვენ იმას ამბობთ და მეც გეთანხმებით, რომ, როგორც პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, ისე ფლოტსაც მეზღვაურმა უნდა მიხედოს. ჩვენ კი გვინდა ტრამვაისა თუ რკინიგზის დეპოდან ზღვაც დავინახოთ და ფლოტიც ვმართოთ, იმის ნაცვლად, რომ დამოუკიდებელ სანაოსნოს მართლაც რეალური დამოუკიდებლობა მივცეთ და მთელი პასუხისმგებლობაც მასვე დავაკისროთ.

— დიახ, შემიძლია პირდაპირ გითხრათ: — ბათუმს აქვს ყველა შესაძლებლობა შექმნას რამდენიმე საზღვაო კომპანია, ისეთები, როგორიც იყო აქ ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში „პორტო-ფრანკოს“ დროს და ამით თავიდან აიცილოს ის პრობლემები, რომლებიც მას აწევს, როგორც საქართველოს საზღვაო დედაქალაქს. მაგრამ ბათუმსაც და აჭარასაც არასოდეს უცხოვრია მარტო თავის თავზე ფიქრით. დღეს აქ ყველა მთელ საქართველოზე, მის სიკეთეზე ვფიქრობთ და ამიტომაც ვამბობთ, რომ საზღვაო საქმესაც და სანაოსნოსაც სჭირდება ნამდვილი პატრონი.

დღეს დეპარტამენტთან [illegible] სანაოსნოს თუ კომპანიის ცნება გაიგივებულია. ამის ნაცვლად, რომ დეპარტამენტი აერთიანებდეს რამდენიმე დამოუკიდებელ კომპანიას ან სანაოსნოს, რომლებიც ურთიერთკონკურენციით წინ წასწევდნენ საზღვაო საქმეს, ყველაფერი დეპარტამენტის თავსატეხია. მარტო ნიუ-იორკსა და ლონდონში ასობით ასეთი საზღვაო კომპანია არსებობს და ეჯიბრება ერთმანეთს. შედეგი — ყველასათვის ცნობილი. ჩვენს დეპარტამენტში კი რას არ ნახავთ: აქ არის გაერთიანებული სამშენებლო, მატერიალური მომარაგების, სავაჭრო და ვინ მოთვლის, კიდევ სხვა რამდენი სამსახური. ერთი სიტყვით თითქმის ყველაფერი, გარდა საზღვაო საქმეზე უშუალოდ მზრუნველი სამსახურებისა.

როდესაც აჭარის უზენაესი საბჭო დეპარტამენტის უფროსის პოსტზე რეკომენდაციას აძლევდა ბატონ რომან აბაშიძეს, პირველ რიგში სწორედ იმის იმედი ჰქონდა, რომ იგი აქ გაატარებდა რადიკალურ სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ცვლილებებს, წესრიგში მოიყვანდა და ცივილიზებულ სახეს მისცემდა სანაოსნოს [illegible] შენობასაც, რომელშიც თითქმის შეუძლებელია პატივსაცემი ფირმების წარმომადგენელთა მიღება, თავს დაადგამდა ფლოტში შექმნილ უდისციპლინობას, უკონტროლობას, სახელდებოდა იმ დანაშაულებრივ მექანიზმს, რომელიც საკავშირო საზღვაო სამინისტროს მაფიოზური სტრუქტურების მეშვეობით მემკვიდრეობით გადმოეცა საქართველოს საზღვაო სანაოსნოსაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი რამ არ მოხდა. პირიქით, რესპუბლიკაში შექმნილმა განუკითხაობამ, ქაოსმა და საკონტროლო მექანიზმის მოშლამ კიდევ უფრო დაძაბა ფლოტში შექმნილი ვითარება და ხელფეხი გაუხსნა მაფიოზურ ჯგუფებს სახელმწიფო ქონების ძარცვა-გლეჯისა და მილიონობით სახსრების მითვისებისათვის.

მაგალითად, სანაოსნოს უფროსის ყოფილი მოადგილის გივი ჭოლარიას მიერ ხელმოწერილი კონტრაქტის მიხედვით ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებისათვის სუპერ თანამედროვე რადიოდანადგარები შეიძინეს, რაც, ჩვენს პირობებში მყოფი ქვეყნისათვის უდიდეს ფუფუნებად შეიძლება ჩაითვალოს. გადაიხადეს მილიონ გერმანულ მარკაზე მეტი.

ამასთან შეიძინეს აგრეთვე მილიონ ნახევრამდე მარკის ღირებულების სანავიგაციო რადარები (გაცილებით ძვირ ფასებში, ვიდრე დადგენილია მსოფლიოს ბაზარზე), რომელთაგან 7 დაამონტაჟეს. მაგრამ ეს როდია მთავარი. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, მთავარი ის გახლავთ, რომ ბატონმა გ. ჭოლარიამ ამ რადიოდანადგარებსა და რადარებს საკუთარი ოქროსფერო „მერსედესიც“ მოაყოლა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხუთ წელზე მეტია ყოფილი გემის კაპიტანი ჭოლარია ხელფასს ვალუტით აღარ იღებდა. ენები კიდევ ბევრს ამბობენ, მაგრამ ამას ალბათ უფრო უკეთ პროკურატურის ორგანოები გაარკვევენ.

გასარკვევი აქ სხვაც ბევრია.

ჯერ ე. წ. „ამოუღებელი თანხებით“ დავიწყოთ.

რას ნიშნავს ეს? — ვეკითხები საზღვაო დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელს ბიჭიკო ვარშანიძეს.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ირღვევა დადებული ხელშეკრულებები და გარიგებათა პირობები. ჩვენს მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად შემოსული სახსრები დროულად არ ხვდება ჩვენს ანგარიშზე. მარტო შარშან სხვადასხვა სახის ამოუღებელმა თანხამ შეადგინა თითქმის მილიონამდე დოლარი, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში 52 148 დოლარი, უფრო მეტიც, შარშან დადებული ორი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 525 816 დოლარი საერთოდ არ არის აღებული. ასევე არ მიგვიღია თურქეთის ერთ-ერთ ფირმისათვის გაწეული გადაზიდვებისათვის მილიონ ორასი ათასი დოლარი და სხვა. ყოველივე ეს არის მხოლოდ უპასუხისმგებლობის, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის კონკრეტული შედეგი. ახლა სანაოსნომ უნდა ქნას განცხადება, საერთაშორისო [illegible] ირჩინოს, რომ მისთვის კუთვნილი თანხები მიიღოს.

მიიღებს კი? ალბათ მიიღებს, რადგან ბატონმა ასლან აბაშიძემ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ფლოტი,
ის ფასად

მიროობაშია. თუ დოკუმენტებში ჩაიხედავთ, თითოეულ გემს მილიონებად ღირებული შეკეთება აქვთ ჩატარებული, ფლოტი კი, რომ იტყვიან, გმინავს. უფრო მეტსაც გეტყვით, მსოფლიოს მთელ რიგ პორტებში აპატიმრებენ ჩვენს გემებს. მიზეზი — დავალიანება და ტექნიკური გაუმართაობა გახლავთ.

აქ მაჩვენეს ვიდეოფირი, რომელზეც ერთი „ახლად შეკეთებული" გემია გადაღებული. გემი კი არა ნამდვილი საღორე გეგონებათ. ასე ფარული გარიგებებით მიფრინავენ მილიონები მაფიის ჯიბეში, როცა ფლოტის მართვას თბილისიდან ვეწევით.

კიდევ ერთი თითქმის კურიოზული ფაქტიც მიამბეს. სანაოსნო ზოგიერთ ფირმებზე აქირავებდა გემებს, რომ იტყვიან, სასაცილო ფასად. მაგალითად, აქვე სანაოსნოსთან შექმნილ ფირმას „ელონგსაიდს" გემები: „ქარელი" და „აქტაში" მიაქირავეს თვეში 4 500 (დღეში 150) მანეთად, მაშინ როცა ამ ტონაჟის გემების ყოველდღიური ფასი საერთაშორისო ბაზარზე 1 000-1500 დოლარს აღემატება.

ბატონმა ასლან აბაშიძემ, რომელთან შემდგომ საუბარში გავიხსენე ეს ფაქტი, მწარედ ჩაიცინა და მითხრა: — აი, **სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს უპასუხისმგებლობამ და გაუმაძღრობამ, მაშინ, როცა აქ უბედურებაში მყოფთ, თითოეული დოლარი აღრიცხვაზე უნდა გვქონდეს.**

ძნელია არ დაეთანხმო!

ერთი გემი — ერთი ქათმის ფასად — დაიჯერებთ ხალხო? მაშინ ისიც უნდა დამიჯეროთ, რომ ინგლისის ფირმებთან შექმნილ ე. წ. „დოჩერნი" კომპანიებზე 1991 წლიდან დღემდე გადაცემული 9 გემის ანგარიშგება — ჯერაც არ არის სანაოსნოში, მაშინ როცა ყოველ 6 თვეში ასეთი ანგარიში უნდა იყოს. არ არსებობს მათი სავალუტო შემოსავლების ამსახველი დოკუმენტაცია. არ არის დოკუმენტაცია — არ არის შემოსული სახსრები, ერთი სიტყვით, აქ მეც შევიკავებ თავს კომენტარისაგან, თორემ, ვინ იცის, რა წამომცდეს!

კიდევ ერთი, არც თუ უმნიშვნელო მომენტს გაუსვა ხაზი საუბარში ბატონმა ასლან აბაშიძემ. — **გულით რომ მოინდომო, ოკეანეში ქართულ გემს ვერ იცნობ — ისინი ჯერაც საბჭოთა დროშით დადიან რეისებში. ინგლისში ამას წინათ ყოფნის დროს, აღნიშნა მან, ბატონ საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიქვაიძეს ვთხოვე, რომ მოემზადებინა სათანადო დოკუმენტაცია ჩვენი სანაოსნო მეზღვაურთა საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად. საწევრო შესატანი თანხის გადება ჩვენ ვიკისრეთ. მე არ ვიცი, ეგებ სამინისტროებსა თუ მინისტრთა კაბინეტში ვინმეს აწყობდა კიდეც უკვე არარსებული საბჭოეთის დროშების ფრიალი ქართულ გემებზე, მაგრამ თუ არ აწყობდათ, მაშინ მიეხედათ თუნდაც ამ ერთი უბრალო საკითხისათვის, რომ ისევ ჩვენი საზრუნავი არ გამხდარიყო. და განა მარტო დროშაა საფიქრალი? ახლახან ინგლისში 30 მილიონი დოლარი ტექნიკური კრედიტი მივიღეთ მხოლოდ ჩვენი საზღვაო ფლოტის განვითარებისათვის, აქვე გადაწყდება გემების და მეზღვაურების დაზღვევის პრობლემაც. განა ეს ახლა უნდა კეთდებოდეს?**

მაშ რას აკეთებდა ამ ხნის მანძილზე ამ დარგის ხელმძღვანელობა — მხოლოდ იმას, რომ პირფერულად შესცქეროდა საკავშირო სტრუქტურებს, იღებდა მზამზარეულს და კარგად გვარიანადაც ისქელებდა ჯიბეს. ამიტომაც იყო, რომ არავის ამ საქმეში ცხვირს არ აყოფინებდნენ და ისეთი მაფიოზური მექანიზმი შექმნეს, რომ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებდა არა მარტო ტრანსპორტის სამინისტროს საკონტროლო მექანიზმი. თვით მამაზეციერიც კი-

ლობა აქვს, განა შეიძლება შენივე ნაშრომ-ნამაგარი ასე გაფანტო? სწორედ საქმისადმი ასეთმა მიდგომამ განაპირობა ალბათ ის, რომ ხარჯებმა მთელი სანაოსნოს საქმიანობით მოპოვებული სახსრების 94 პროცენტი შეადგინა. ეს დიდი ხარჯები კი, როგორც ითქვა, უმთავრესად გამოწვეული იყო გემების უხარისხო შეკეთების, დისციპლინის მოშლისა და ეკიპაჟის უპასუხისმგებლობით, იმითაც, რომ ფლოტში დამკვიდრდა დაუსჯელობის პრინციპი, აი თუნდაც ერთი მაგალითი ამ უპასუხისმგებლობისა — გემი „ზაქარია ფალიაშვილი" მილიონ 600 ათას დოლარად უნდა შეეკეთებინა იტალიის ერთ-ერთ შემკეთებელ ქარხანას. გადაიხადა ამდენი ფული, გემი კი ისე გამოვიდა შეკეთებიდან, რომ კვლავ შესაკეთებელია. ხომ შეეძლო ხელმძღვანელობას არ მიეღო გემი და იქით დაეკისრებინა საჯარიმო სანქციები შემკეთებლებისათვის. მაგრამ გაგიგონიათ? ეს კი არა და, გემის შესაკეთებელი თანხიდან ე. წ. „შუამავალს" გადაერიცხა 20 პროცენტი, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა საზღვაო პრაქტიკაში. ეტყობა, აქაც „ნახევარი მე — ნახევარი შენ" პრინციპმა იმუშავა.

ასეთივე შემთხვევა გვქონდა ტანკერ „ფიროსმანიშვილზე", — განაგრძობს ბიჭიკო ვარშანიძე — რომელიც ჩინეთში დადგა შეკეთებაზე 74 დღით. გემი კი 240 დღის შემდეგ გამოვიდა რემონტიდან. გაცდა 165 დღე, რის გამოც დავკარგეთ 750 ათასი დოლარი. მიზეზი? — ისევ და ისევ უპასუხისმგებლობა, გაუკითხაობა და დაუსჯელობა.

სწორედ ამის შედეგია ის, რომ სანაოსნოს გემების პარკის უმრავლესობა კვლავ სავალალო მდგო-

ამიტომაც იყო, რომ სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენს დეპარტამენტში შექმნილი ვითარება ერთ-ერთმა უცხოურმა ფირმამ გაგვიშიფრა, რაც დიდად დაგვეხმარა, რომ მივეგნო იმ მექანიზმისათვის, რითაც იფლანგებოდა და ნიავდებოდა მილიონობით უცხოური ვალუტა.

ბატონმა ასლან აბაშიძემ ისიც თქვა, რომ ადრე ამ საქმის გასარკვევად სსრკ-ს სხვა სანაოსნოებიდან მოუწვევიათ სპეციალისტები, მაგრამ მათ არ დაძრეს ძაღლის ტყავი და არ გახსნეს საზღვაო მაფიის ეს საიდუმლო. ასე რომ, მადლობა ღმერთს, ისევ უცხოელებს დაუდგამთ თავი ამ საქმისათვის.

— **ზღვას თავისი ტრადიციები და კანონები აქვს. თუ ადრე ჩვენს სანაოსნოს ყველაფერი, ტვირთიდან დაწყებული, ფინანსებითა და მარაგნაწილებით დამთავრებული, ცენტრიდან მზამზარეული მოსდიოდა, ახლა ყველაფერი ეს საკუთარ თავსატეხად გვექცა. ყოფილი პარტნიორებიც არაკეთილმოსურნე კონკურენტებად გადაიქცნენ და ცდილობენ, რომ თავად დაიკავონ ჩვენი პოზიციები მსოფლიოს საზღვაო ბაზარზე. შესაძლებლობები, ფლოტიც და ტონაჟიც, ალიოსხლეთ, ისეთი აქვთ, რომ ჭკვიანურად და საზრიანად თუ არ მოვიქეცით, ვერაფერს გავხდებით** — მეუბნება საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი ბიჭიკო ვარშანიძე, **წარმოიდგინეთ, განაგრძობს იგი, როგორი ვითარება შეიქმნა: — რუსეთს მხოლოდ ერთადერთი პორტი — ნოვოროსიისკიღა შემორჩა შავ ზღვაზე და, მასთან ერთად, გახდება ინტერესიც ბათუმისა და ფოთის პორტების მიმართ. ამ რეალობას ვერსად წაუვალთ ვერც ჩვენ,** ვერც ისინი. მაშ რა ვქნათ? — ომით, როგორც მიხვდით, არაფერი გამოდის, ჩვენც უნდა ვუდგეთ და ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ რუსეთის ეს ინტერესი, ის საზღვაო ძალა, რომელსაც ისინი ფლობენ. უნდა შევქმნათ მათთან ისეთი ერთობლივი საწარმოები, ავამოქმედოთ ისეთი მექანიზმები, რომლებიც წაადგება საქართველოს.

ახლა მთავარია ჩვენ სატკივარს მოვუაროთ, დავამყაროთ წესრიგი და დისციპლინა სანაოსნოში. ზღვას მკაცრი დისციპლინა უყვარს და ვინც ვერ დაიცავს მას, დატოვებს სანაოსნოს. აი დღეს ხელი მოვაწერე ბრძანებას, რომელიც ითვალისწინებს ერთ-ერთი ჩვენი გემიდან 7 ნარკომანის განთავისუფლებას.

ასე რომ, საქართველოს საზღვაო პოლიტიკა ტრანსპორტის სამინისტროში კი არა, აქ — ბათუმსა და ფოთში უნდა იგეგმებოდეს და ხორციელდებოდეს, რადგან სწორედ აქ, ამ ქალაქებშია თავმოყრილი ჩვენი საზღვაო საქმის ინტელექტუალური პოტენციალი, აქ არის შექმნილი ე. წ. საზღვაო ინფრასტრუქტურა, რომელსაც თავისი დაწერილი და დაუწერელი კანონები აქვს. აქ არის კადრები თავისი პროფესიული თუ სოციალური პრობლემებით და ამიტომაც არ არის გასაკვირი, როცა აჭარის ხელმძღვანელობა ასეთ ინტერესს იჩენს სანაოსნოსადმი. სანაოსნოზე 27 ათასამდე ბათუმელი კაცის ბედია დამოკიდებული. აქაური კარგიც და ავიც მთელ ქალაქზე, მთელ აჭარაზე ახდენს გავლენას.

— **სტაბილურობა საზღვაო სანაოსნოში ნიშნავს სტაბილურობას ბათუმში, მთელს აჭარაში. ეს ობიექტური რეალობაა** — მითხრა ასლან აბაშიძემ. **ასე რომ, აჭარის უზენაესი საბჭოც და პირადად მეც, როგორც ხელმძღვანელი, მოვალეც და იძულებულიც ვარ მთელი პრინციპულობით მოვეკიდო სანაოსნოში შექმნილ ვითარებას. ზოგიერთს კი ასეთი ჩარევა არ მოსწონს. პირდაპირ გასაკვირი რამ ხდება: სანაოსნოს ნებისმიერ სამსახურსა თუ მუშაკს ურემი რომ გადაუბრუნდეს, ან სხვა რამ შეემთხვეს, პასუხისმგებლობა მე უნდა დამეკისროს, ფლოტი რომ გაყიდონ ან ჩაძირონ ვინმემ, პასუხს ვერავის მოვთხოვ მხოლოდ იმისთვის, რომ იგი დარგობრივი უწყების საკუთრებაა.**

აკი ამიტომაც მითხრა ერთხელ ნიშნისმოგებით სანაოსნოს ადრინდელმა უფროსმა ჯემალ ჭილვარიამ — მე ცეკას სამმა მდივანმა ვერ მომხსნა და შენ რა უნდა მიყოო.

მეც ვუთხარი: — საქართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მეც ვარ და ეს რომ ასეა, იმავე დღესვე დავუმტკიცე ბატონ ჭილვარიას. ახლაც მოვიქცევი, როცა დავინახავ, როგორ იყიდება ქვეყნის ინტერესები, იძარცვება, ნიავდება სახელმწიფო ქონება, მით უმეტეს ახლა, როცა ისეთ დიდ უწყებას, როგორიც არის საზღვაო დეპარტამენტი, უდიდესი სიკეთის მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისათვის.

მართლაც, როცა ზოგს ბათუმში „საქმე" არ გამოსდის — საზღვაო ცენტრი ფოთში გადავიტანოთ, გაჰკივის, იმას კი ვერ საზღვრავს, რომ ამას თან უნდა მიაყოლოს მთელი კომუნიკაციები, ინფრასტრუქტურა, კადრები, დაწესებულებები, ცენტრები. მარტო — „პოპლას" ძახილით სადამდეც მივედით, ყველანი კარგად ვხედავთ.

სასაცილოა ეს, სატირალი რომ არ იყოს!

დადგა დრო, ყველამ თავისი საქმე აკეთოს, თორემ ფლოტიც გაყიდული შეგვრჩება და საქართველოც!

გია ჭელიძე,
„სრ" სპეც. კორ.

ქ. ბათუმი.
აგვისტო.

დამოუკიდებელ საქართველოში უპირველესი, ბრძნულად და სასწრაფოდ გადასაწყვეტი პრობლემაა პიროვნებისათვის რეალური თავისუფლების მინიჭება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კოლექტიურმა გიგანტომანიამ პიროვნება ლამის გასრისა. კერძო საკუთრების მოსპობამ ადამიანს არა მარტო ეკონომიკური საფუძველი გამოაცალა, არამედ მას სულიც შეუბღალა. უმკაცრეს, სისხლიან დიქტატურაზე დამყარებული საბჭოთა სახელმწიფო, 50-იანი წლებიდან, როცა ძირითადი იდეოლოგიური საყრდენი — სტალინის კულტი თვითონვე შერისხა, თანდათან დასუსტდა და საბოლოოდ დაიშალა. ყველაზე მძიმე შედეგი, რაც ამ ნგრევას მოჰყვა, მოსახლეობის ფსიქოლოგიის გაუხეშება.

მეცნიერი გვთავაზობს

დავამყაროთ ჭეშმარიტი სახალხო მმართველობა

კერძო საკუთრებისადმი ბუნებრივი ლტოლვა, წლების მანძილზე, ფარული მოხვეჭისა და მითვისების ასპარეზად იქცა. პატიოსანმა შრომამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. სიმდიდრეს და კეთილდღეობას არალეგალურად მიმწედი საეჭვო ღირსების ადამიანები, კომბინატორები აღწევდნენ. ახლა ისინი თავისუფალნი არიან, მაგრამ ჯერჯერობით თითოეული მათგანი ისევ ხალხისა და სახელმწიფოს ძარცვით ითბობს ხელს, ამიტომ ეს ფენა სამშობლოს მამოძრავებელ ძალად ვერ გამოდგება. ქვეყნის ნორმალური მართვა რომ განხორციელდეს, აუცილებელია ხელისუფლება ხალხს ეკუთვნოდეს, ოღონდ ხალხი ამისათვის სათანადოდ უნდა იყოს ორგანიზებული.

პოლიტიკურ პარტიათა სიმრავლე და სიჭრელე ცხადყოფს, რომ ჯერჯერობით არც ერთ პარტიას არა აქვს ფართო მასებზე სათანადო ზეგავლენა. ბუნებრივია, ამის მიღწევას დრო სჭირდება, ამჟამად მისწრაფებათა, ამბიციათა და ემოციათა დუღილია. გაივლის ხანი, მაჭარი დურდოსა და ლექისგან დაიწმინდება, თუმცა სანამ თავლევინოს მივიღებდეთ, საჭირო და გადაუდებელია მოსახლეობის მიზანმიმართული მართვა, უწინარეს ყოვლისა კი ადგილობრივი თვითმმართველობის მოწესრიგება.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერც ერთმა ეროვნულმა მთავრობამ ვერ შეძლო საბჭოთა სტრუქტურებიდან თავის დაღწევა. პროფესორთა და გამგებელთა „ღვაწლის" შედეგი სახეზეა და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ასეთ ვითარებაში, როცა ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, გადარჩენის ერთადერთი გზა ეროვნული ცხოვრების წესის აღდგენაა, მართვის იმ სისტემის დამკვიდრებაა, რაც ქართველ ხალხს მისი ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობის მანძილზე მოუპოვებია.

ცივილიზაციის გარიჟრაჟიდან მოყოლებული რუსეთისაგან დაპყრობამდე, ქართველი და საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი პიროვნება იყო, თუ მას საკუთრება გააჩნდა და შრომის შესაძლებლობა ჰქონდა. ჩვენი ახლანდელი თითოეული მოქალაქე პიროვნებად რომ ჩამოყალიბდეს, სახელმწიფომ კეთილი უნდა ინებოს და ისინი თანმიმდევრულად მესაკუთრეებად აქციოს. ეს მიიღწევა არა მხოლოდ გლობალური პრივატიზაციით, არამედ პატიოსანი შრომისათვის შესაფერისი პირობების შექმნით. თავსმოხვეულმა სოციალიზმმა, მიუხედავად მოხერხებულად მოფიქრებული ლოზუნგებისა, ეს ვერ განახორციელა, შედეგიც სახეზეა. ამჟამად ეროვნულმა ხელისუფლებამ ყველა მწარე გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს და ხალხი ჩიხიდან გამოიყვანოს. პირველი, რაც უნდა გაკეთდეს ადგილობრივი, ტრადიციული თვითმმართველობის დამკვიდრებაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პარლამენტის წამყვან სპეციალისტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტი (აგრარული კომისია), რისი მეშვეობითაც პიროვნების აბსოლუტური თავისუფლებაა გარანტირებული.

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის თანახმად პიროვნება კომლსა და ოჯახში სახიერდება. თითოეულ კომლსა და ოჯახს ჰყავს უფროსი, ხელმძღვანელი, რომელიც პასუხს აგებს როგორც თავის საკომლო-საოჯახო მეურნეობაზე, ოჯახის წევრებზე და ოჯახის წევრების წინაშე, ასევე საცხოვრებელ გარემოსა და სახელმწიფოს მიმართ. მოვალეობა განაპირობებს უფლებას, კომლის მეთაური თავისი მიკროსამყაროს მეუფეა, მესაკუთრეა და საკუთარი მეურნეობის წარმმართველი. ის მიწყივ მშრომელი, როცა დასჭირდება მეომარია და საერთოდ ბრძენი, მჭევრმეტყველი კაცია. ამ კაცებს — ძველქართულად ეროვანნებს ოდითგანვე ეყრდნობოდა ქართული ეროვნული სახელმწიფო. სამაგიეროდ, მეფე, სახელმწიფო იცავდა ეროვანთა საკუთრებას და ღირსებას. ეროვანნი სიქველითა და მამაცობით, ერთგულად ემსახურებოდნენ მეფეს და სახელმწიფოს. ეს კავშირი როდესაც ირღვეოდა, ქვეყანა იშლებოდა და ბეითალმანად იქცეოდა. ჩვენდა სავალალოდ ამჟამადაც ასეა. ორასწლოვანი მონობის შემდეგ აღარც ეროვანი გვყავს და აღარც ეროვნული სახელმწიფო გაგვაჩნია. რეალურ თავისუფლებას რომ მივაღწიოთ, ერთიც უნდა აღვადგინოთ და მეორეც. აქედან გამომდინარე ერის მესვეურები ყოველგვარ პარტიულ სნობიზმზე მაღლა უნდა დადგნენ და კარგად გააზრებული თვითმმართველობის კანონით ეროვანნი ქვეყანას შემოუმტკიცონ. დროულად უნდა განისაზღვროს კომლისა და სოფლის სტატუსი, ასევე მოქალაქისა, დაბისა და ქალაქისა.

კომლის უფლება-მოვალეობანი მოქალაქეთა ოჯახებზედაც უნდა გავრცელდეს და როგორმე ქალაქში მცხოვრები პიროვნებანიც მესაკუთრეებად უნდა იქცნენ. კომლი თუ მიწის მესაკუთრეა, არანაკლები ქონება ქალაქელს უნდა ჰქონდეს, რათა იგი ვინმეს ნების ბრმა აღმსრულებლად არ გახდეს და მარადჟამს ერის ბურჯად დარჩეს. რა თქმა უნდა, ამის მიღწევა ერთბაშად ვერ მოხერხდება, მაგრამ ეროვნულმა სახელმწიფომ ეს უნდა შესძლოს ჯერ იდეოლოგიური ძალისხმევით, ხოლო შემდეგ პრაქტიკულადაც, სხვანაირად ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდება და სწორ მართვა-გამგეობას ვერ განახორციელებს. ამრიგად, თვითმმართველობის კანონი ქალაქად თუ სოფლად უნდა აღიარებდეს პიროვნების სრულ უფლებებს და თავისუფლებებს. და ეს ყოველივე ქაღალდზე რომ არ დარჩეს და ცხოვრებაში გატარდეს, ამისათვის სასურველია ამომწურავად გავიაზროთ და გავზარდოთ კომლის, ოჯახის, როგორც ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედის როლი და პრიორიტეტი. მისი არსებობის საფუძველი უნდა გახდეს ალალი და პატიოსანი შრომით მონაგარი კერძო საკუთრება, რომელიც თანმიმდევრულად ჩამოყალიბდება ჯანსაღი კომერციის მეშვეობით. ამ საშვილიშვილო საქმის ორგანიზაცია ეროვნულმა სახელმწიფომ უნდა იკისროს. მაშასადამე, მიზანმიმართული მართვის გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი კომლი, ოჯახი და მათი საცხოვრებელი მიკროსამყარო.

საბჭოთა წყობილება მეტ-ნაკლებად ამას აღწევდა, სადაც კი კომპარტიის სამი წევრი იყო, პარტიული უჯრედი იქმნებოდა, ქალაქებში ყოველ სახლს და ეზოს თავისი კომიტეტი და რწმუნებული ჰყავდა. სოფლის მოსახლეობა აგრეთვე ადგილობრივ საბჭოებსა, კოლექტიურ მეურნეობებში იყო გაერთიანებული. ადამიანებს კონსტიტუციურად ყველა უფლება ჰქონდათ მინიჭებული, მაგრამ პრაქტიკულად დესპოტური ცენტრალიზაციის მარწუხებში იყვნენ მოქცეული და უზარმაზარი ბიუროკრატიული სახელმწიფო მანქანის მხოლოდ „ჭანჭიკებს" წარმოადგენდნენ. საბოლოოდ „ჭანჭიკების" ნებამ გაიმარჯვა, ძალადობაზე დამყარებულ ხელისუფლებას ატომურმა იარაღმაც ვეღარ უშველა, იგი ერთბაშად გაცამტვერდა.

შექმნილ კრიზისს რომ თავი დავაღწიოთ, თვისობრივად ახალი სახელმწიფო, ახალი ეკონომიკა და ცხოვრების წესი უნდა შევქმნათ, რომელიც ცარიელი ნიადაგიდან კი არ აღმოცენდება, არამედ წინაპართა მრავალნაცად გზას გააგრძელებს, ბუნებრივია, თანამედროვე ვითარების სრულ შესაბამისობაში. შემოთავაზებული ადგილობრივი თვითმმართველობის კანონი სწორედ ამას ითვალისწინებს, სქემა მარტივია, ათასწლეულებში მრავალნაცადი და დახვეწილი: პიროვნება, კომლი, ოჯახი, უბანი (სამოხიო-საერობო-საძმო), სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი, ბუნებრივ-სამეურნეო არე — მხარე და დედაქალაქი. მართვის თვალსაზრისით ყველაზე მოქმედია უბანი. მართვაში ამჯერად ვგულისხმობთ როგორც სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობას, ისე საყოფაცხოვრებო ხასიათის მოვლენების (ჭირი, ლხინი, ურთიერთდახმარება, თანადგომა და ა. შ.) გაძღოლას, რაც საუკუნეების მანძილზე ეროვნული ტრადიციების მეშვეობით ხორციელდებოდა.

საბჭოთა წყობილების და „კომუნიზმის მშენებლად" ქცეული ხალხის ტრაგედია ის იყო, რომ ამ უმაგალითო ფართო მასშტაბის ექსპერიმენტი ადამიანის ბუნების წინააღმდეგ მიმართული გამოდგა. აშკარა ბრძოლამ, როდესაც აზრი დაკარგა, ხალხი შეინიღბა და ყოფა-ცხოვრება კვლავ ეროვნული ტრადიციების მიხედვით ააწყო, სწორედ ამით გადაურჩა ღვთისგმობას, სისხლიან რეპრესიებს და მძინვარე ომებს. მთელი 70 წლის მანძილზე ოფიციალური ცხოვრება ყალბი იყო, ხოლო ხალხის რეალური ყოფა ნამდვილი და უდიდეს შეჭირვებათა მიუხედავად გასაძლისი. ეროვნული მთავრობა ხალხის ყოფის წარმართველი უნდა გახდეს, რაც მხოლოდ და მხოლოდ წინაპართა თვითმმართველობის კვლავ დანერგვით მიიღწევა. ხმის უფლება აქვს ყველა სრულწლოვან, ნორმალურ მოქალაქეს, მაგრამ უბანში, დიდი ქალაქის პირობებში მრავალბინიან სახლში, ეზოში მცხოვრები ოჯახის უფროსები (საშუალოდ 100 კომლი) ქმნიან ერთ საძმოს. საძმოს სრულუფლებიანი წევრია უბანში, ეზოში, სახლში მცხოვრები ყველა მოქალაქე განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა, ოღონდ ოჯახის უფროსები საძმოს სამართავად არიან ორგანიზებულნი და შეადგენენ საძმოს კრებას, რომელიც ირჩევს ფიცისკაცებს — საძმოს საბჭოს და რწმუნებულს, არჩევნები ღია კენჭისყრით ტარდება და არჩეულებს უფლებამოსილება აქვთ ერთი წლის ვადით. არჩეული ფიცისკაცები და რწმუნებული მოწვეულ მოძღვართან, საძმოს კრების წინაშე ფიცს სდებენ, რათა პატიოსნად და ერთგულად ემსახურონ ხალხს.

საძმოს კრება იკრიბება საჭიროებისამებრ. უბნის, ეზოს, სახლის ყოველდღიურ ცხოვრებას წარმართავს რწმუნებული და ფიცისკაცთა საძმოს საბჭო. უვლიან საცხოვრებელ ფართს, იცავენ სისუფთავეს, თვალყურს ადევნებენ ელექტრო და სატელეფონო ქსელის, წყალგაყვანილობის და საერთოდ კომუნალურ საჭიროებათა ნორმალურ მუშაობას, ასევე სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ტრანსპორტის და კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობას. ზრუნავენ სადარბაზოთა, ეზოების, უბნის კეთილმოწყობაზე, მისასვლელი გზებისა და ბილიკების გაუმჯობესებაზე, კიბეების მოწყობაზე და ა. შ. შესაბამის ორგანოებს ეხმარებიან გადასახადებისა და გადასახდელების აკრებაში. რეაგირებენ სახელმწიფო კანონებისა და გადაწყვეტილებების განხორციელებაზე, სათანადო ორგანოებთან ერთად იცავენ წესრიგს და სიმშვიდეს. სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის ორგანოებში არჩევენ დეპუტატობის კანდიდატებს, აწყობენ წინასაარჩევნო კრებებს, შეხვედრებს, დისპუტებს, ლექცია-საუბრებს, კოლოკვიუმებს და ა. შ. მხარში უდგანან ერთმანეთს, საძმოს თითოეული წევრის ჭირსა და ლხინს იზიარებენ, ეხმარებიან ღარიბებს და უძლურებს, ეწევიან აღმზრდელობით საქმიანობას, რისთვისაც იყენებენ როგორც ეროვნულ ტრადიციებს, ისე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის უახლეს მიღწევებს. ვინც შეუფერებელი საქციელით საძმოს ცხოვრების რიტმს დაარღვევს, მას მკაცრად აფრთხილებენ. თუ ამან არ გაჭრა და უკეთურობა ისევ გაგრძელდა, საძმოს კრებაზე დადგება საკითხი მისი მოკვეთის შესახებ.

ხვდებიან კულტურისა და ხელოვნების, მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეებს. უზრუნველყოფენ სინდისის თავისუფლებას, რელიგიური რწმენისა და მრწამსის შეუბღალაობას. საძმოთა საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, სახელმწიფო მოღვაწეები, თანამდებობის პირები, კულტურის მუშაკები, საერთოდ ყველა მოქალაქე, რომელსაც საზოგადოებრივი საქმიანობის სურვილი და მიდრეკილება აქვს.

ჩემი ღრმა რწმენით, შესაძლოა საქართველოს ყველა ქალაქი და მათ შორის თბილისიც უბან-საძმოებად დაიყოს და სახალხო მმართველობას, ჭეშმარიტ დემოკრატიას მართლაც კუთვნილი ასპარეზი მიეცეს. ამით საზღვარი დაედება თავსმოხვეულ რუსულ ბიუროკრატიზმს, რომლის მეშვეობითაც ლამის გადაგვარებამდე მივედით. სწორედ ასეთი თვითმმართველობით დავძლევთ იმ ქაოსსა და უპასუხისმგებლობას, რაც, სამწუხაროდ, ქვეყანასა და საკუთრივ დედაქალაქში სუფევს. „ზემოდან" წესრიგი არ დამყარდება, ხალხს უნდა მივცეთ საშუალება, თავისთავს უპატრონოს და მისთვის მისაღები ხელისუფლების კურსი გაატაროს.

ლევან ფრუიძე.

საწარმო [illegible]

მომჭირნეობა ახლა გამოადგათ

დღევანდელ ცხოვრებაში მდიდარ კაცზე ხშირად გაიგონებთ „რაც უნდა, — იმდენი აქვს, რომ თავის დღეში ვერ მოერევა" და ვერც იტყვი სხვანაირად, რადგან ქონება მართლაც „მოსარევად", შესაშურად გვაქვს წარმოდგენილი. ამიტომაც ქართველი თავს ჩინებულად გრძნობს, სანამ ქონება ხელთ შერჩენია და მოლევამდე არსებობა კიდევ შეუძლია. ეს იმის მომასწავებელია, რომ ქონება კიდევ „მორეული" არაა.

მართალი ვთქვათ: ჩვენი რესპუბლიკის საწარმოების ქონებას მავანნი და მავანნი ადვილად მოერივნენ და სავაჭროდ და დასატაცებლად გაიმეტეს. ამაში დიდი წილი თვითონ ამ ფაბრიკა-ქარხნების მესვეურთ მიუძღვით და მოდით, ჩვენს უნიათობას სხვებს ნუ გადავაბრალებთ. ახლა კი დამარცხება ვითხოვთ. ვინც თავის ქონებას მოერია, ახლა უნდა, რომ სხვამ სარჩო გაუჩინოს, და როგორ ფიქრობთ? ის ადამიანი, რომელსაც გამუდმებით სხვისი იმედი აქვს და გაჭირვების დროს ხელს სხვისგან მოელის, განა ეცდება თავისი სურვილები ალაგმოს, მეურნეობაზე იზრუნოს და გაჭირვება საკუთარი მუყაითობითა და მომჭირნეობით თვითონ აიშოროს? სწორედ იმიტომ, რომ დაბრკოლებების გადალახვის საკუთარი გზები და საშუალებები ვერ გამოვნახეთ, დაიშალა რესპუბლიკის ეკონომიკა, პირშეკრულებებით ჩარჩება საწარმოები.

მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ფაბრიკები, რომლებიც არ გაჩერდება და არც აპირებს ამას. შეიძლება ითქვას თბილისის პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიის" დირექტორი დავით ხილაბაძე, კარგი გამგეობით, სიტუაციის საწინააღმდეგოდ მოქმედებს და ცხოვრებაში იმას ეძიებს, რაც ძნელად გასაკეთებელია, სადაც თამამობა და გამჭრიახობა მართებს, სადაც ენერგიისა და ხასიათის სიმტკიცის გამოჩენაა საჭირო.

და მაინც როგორ შეძელით, რომ მუშაობთ და პროდუქციას ქმნით?

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ, ფაქტობრივად, წარმოებას ამ დიდი ეკონომიკური გარდატეხის წლებში დიდი სიძნელეები არ განუცდია. რატომ? იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ მაშინ, როცა ყოფილი თბილისის პარტიული კომიტეტი ზენორმატიული ნაშთებისთვის ტყავს გაძრობდა, ჩვენ საწარმოს მომავალზე ვფიქრობდით. ძველ ფასებში „მოძმე" რესპუბლიკებიდან შემოგვქონდა და შემოგვქონდა ნედლეული, შესაფუთი მასალა.

ცნობილია, რომ ფაბრიკა „ივერია", რომელიც საპარფიუმერიო-კოსმეტიკური დანიშნულების ფართო ასორტიმენტის პროდუქციას უშვებს, ერთადერთია არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაშიც. უფრო დაწვრილებით გეტყვით: ფაბრიკა „ივერია" დაარსებიდან ჯერ სსრ კავშირის კვების მრეწველობის, მოგვიანებით — სსრ კავშირის აგრომრეწვის, ბოლოს კი „სოიუზპარფიუმერპრომის" დაქვემდებარებაში იყო.

როგორ დაახასიათებდით გასულ წლებს წარმოების სრულყოფის მიმართულებით?

აღნიშნულ პერიოდში, რა თქმა უნდა, იყო წარმატებებიც და ჩავარდნებიც. განვლილ წლებში მოვახდინეთ ახალი სიმძლავრეებისა და სხვადასხვა სახეობის ასორტიმენტის ათვისება, წარმოების კულტურის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა, მსოფლიოს უახლესი ტექნიკური დონის ტექნოლოგიური ხაზების შემოტანით. ჩავარდნები კი ძირითადად გამოწვეული იყო სახელმწიფო გეგმების დაუსაბუთებლობით, მე ვიტყოდი, გაუმართლებელი ზრდით, ე. წ. „მოდური ტემპებით". ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ფაბრიკის როგორც საფინანსო-ეკონომიკურ, ისე ხარისხის გაუმჯობესებასა და ასორტიმენტის განახლებაზე. შრომითმა კოლექტივმა რაოდენობის ხარჯზე დაიწყო ხარისხი და ამიტომაც კატასტროფულად იზრდებოდა ჯარიმები უხარისხო პროდუქციაზე. გაუმართლებელი წარმოების მოცულობის ზრდის ტემპების გამო ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ საპროექტო სიმძლავრეს 20-ჯერ და მეტადაც გადააჭარბა.

კონკრეტულად მაინც როდიდან დაიწყო გარდატეხის ხანა საწარმოს ცხოვრებაში?

ეს დრო მტკიცედ უკავშირდება 1983 წელს, როდესაც შევიმუშავეთ განსახორციელებელ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებდა წარმოების მოცულობის ზრდას 67 მილიონი მანეთიდან 100 მილიონ მანეთამდე. შეიძლება ისიც ვახსენოთ, რომ ეს ღონისძიებათა კომპლექსი ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და ყოფილი საკავშირო კვების მრეწველობის მინისტრის ბატონ ვოლოდიმან ლეინის მიერ დამტკიცდა.

ძირითადად რას ითვალისწინებდა განსახორციელებელ სამუშაოთა ნუსხა?

უპირველესად, როგორც ახალ საწარმოო, ისე სასაწყობო მეურნეობის და ფილიალების მშენებლობას. ფაბრიკის აღჭურვას თანამედროვე იმპორტული და სამამულო ტექნოლოგიით, ახალი ასორტიმენტის შექმნას, რაშიც შეძლებისდაგვარად გამოვიყენებდით რესპუბლიკაში არსებულ ბუნებრივ რესურსებს, მინერალურ წყლებს, ეთერზეთებს, ბენტონიტურ თიხებს. მზა პროდუქციის გაფორმებაში, ეროვნული დიზაინის გამოყენების თვალსაზრისით, რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოს დაევალა ჩვენს ფაბრიკას შესაბამისად დახმარებოდნენ. ალუმინის ტუბებით, მინის ტარით, პოლიმერისა და ქაღალდის ნაწარმით. ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად თბილისის საავიაციო ქარხანაში დამონტაჟდა გერმანული წარმოების ფირმა „იხელტანის" და „იოზეფ ეკლის" ალუმინის ტუბის დამამზადებელი სამი ხაზი, ჩვენს მშენებარე შუშის ქარხანას გადაეცა პარფიუმერიის შუშის დამამზადებელი იტალიური ხაზი, ფაბრიკაში დამონტაჟდა კბილის პასტის დამამზადებელი მთლიანი ციკლის შვეიცარიული ტექნოლოგიური ავტომატური ხაზი, იმავე ფირმის ნელსაცხებლების დამამზადებელი რეაქტორი და სხვა.

ფაბრიკის სპეციალისტებმა ფარმაკოქიმიისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ინსტიტუტებთან ერთად შექმნეს და გამოუშვეს რამდენიმე სახეობის კოსმეტიკური ნაწარმი, რომლებშიც ძირითადად რესპუბლიკის მინერალური რესურსები გამოიყენეს. ესენია: კბილის პასტა „ლუგელა", თბილისური „დილა", „ლაბარუ", ფეხის ნელსაცხებლები „ნუნისი" და სხვა.

ვიცით, თქვენი დიდი მოწადინებით და მეცადინეობით, მშობლიურ რაიონში ფაბრიკის ფილიალი აიგო.

დიახ, მარტვილის ფილიალიც მოქმედებს, სადაც ამჟამად სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს. მარტვილის ფილიალში მთავრდება შამპუნისა და კბილის პასტის ტექნოლოგიური ხაზების მონტაჟი.

თბილისის მეთაურ საწარმოში მაინც გექნებათ სიძნელეები, რაში გამოიხატება იგი?

ცნობილი მოვლენების გამო, ფაბრიკის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობა, რა თქმა უნდა, არასტაბილურობით ხასიათდება, რადგანაც, როგორც გითხარით, ფაბრიკა საკავშირო დაქვემდებარების იყო და არსებული კავშირის მოშლამ დიდად იმოქმედა. გაუქმდა საბანკო ანგარიშსწორება, გართულდა ბარტერული გაცვლები, ტრანსპორტირება.

ამ სირთულეების მიუხედავად, ფაბრიკა დღემდე არარითმულად, მაგრამ მაინც მუშაობს. გარკვეულწილად, როგორც ზემოთ ვთქვი, — შემორჩენილი ნედლეულისა და მასალების ხარჯზე. დღემდე ფაბრიკამ მოახერხა, მუშა-მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნისა და მასობრივი, ხანგრძლივი უხელფასო შვებულებების გარეშე მათთვის ხელფასის გაზრდა, და ახლა აქ მინიმალური ხელფასი 20 ათას კუპონს აღემატება.

უმთავრესი სიძნელე მაინც ის არის, რომ პარფიუმერიის საამქროს უჭირს მუშაობა, არადა, როგორც სასაწყობო მეურნეობის კორპუსები, ასევე ამ საამქროს მთლიანი რეკონსტრუქცია დამთავრებულია და ვცდით მის მაქსიმალურად ამოქმედებას. შეფერხების მიზეზი მხოლოდ სპირტის უქონლობაა, ამის გამო აქ მომუშავენი დროებით სხვა სამუშაოებზე არიან დაკავებულნი.

მაინც რა პირობა მიგაჩნიათ იმისათვის, რომ ფაბრიკამ სრული დატვირთვით, გამართულად იმუშაოს?

უნდა დავაჩქაროთ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, უპირველესად კი რუსეთსა და უკრაინასთან ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების დადება. სხვადასხვა პროფილის კავშირების დამყარება მათთან არ გაგვიძნელდება, თუ საქმეს წინ წავწევთ. გარდა ამისა, აუცილებელია რესპუბლიკაში პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია, კრიმინოგენური სიტუაციის გამოსწორება. ეს საშუალებას მოგვცემს ნორმალურად ვითანამშრომლოთ უცხოურ ფირმებთან, რადგან ჩვენს დარგში გამოყენებული ნედლეულისა და მასალების თითქმის 80-85 პროცენტი იმპორტულია და ჩვენს ძველ „მეურნესაც" კი უცხოეთიდან შემოგვქონდა იგი.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, თუ კი, მსოფლიო ბაზარზე საკუთარი პროდუქციით გასვლა გვინდა, ამისათვის აუცილებელია პროდუქციის მაღალმხატვრული გაფორმება-დიზაინი. ამასთან იმ მეცნიერებისა და სპეციალისტების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, რომლებიც ახალი სახეობის პროდუქციის ათვისებაზე მუშაობენ.

ეკონომიკური კავშირების სრულად აღდგენა, ვფიქრობ, წარმოების მაქსიმალურად დატვირთვის გარანტიას მოგვცემს.

მიუხედავად არსებული სირთულეებისა, ფაბრიკის კოლექტივს კარგი კონტაქტები აქვს დამყარებული ფრანგულ ფირმებთან. გამოსაშვებად მზად გვაქვს ფრანგებთან ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ერთობლივად შექმნილი შამპუნი „ნატალია ერზნი". ეს კონტაქტები მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება. დიდი სურვილი გვაქვს რესპუბლიკის ქალების მოთხოვნა გავითვალისწინოთ და დავამზადოთ თმის ახალი სახეობის საღებავი. ამისოდ გარკვეული მოლაპარაკება გვაქვს დაწყებული კვიპროსთან. ქ. ნიქოზიაში არსებულ ერთ-ერთ ფირმასთან. ამის თაობაზე დაწვრილებით ინფორმაციას შემდეგ ნომერში მოგაწვდით.

ლალი ჭინქლაძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ამერიკის შეერთებული შტატები: ვინ უჭერს მხარს კლინტონის ეკონომიკურ გეგმას

კლინტონის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ უკვე ექვს თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკა ისევ ახლანდელი პრეზიდენტის წინამორბედის გეგმით ვითარდება. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს აქამდე პრეზიდენტს სრულიადაც არ მოეხდინოს გავლენა ეკონომიკაზე. ხეგარის ზრდამ, რომელიც კლინტონის ადმინისტრაციამ დაგეგმა ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად, დაამუხრუჭა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესი და კერძო სექტორში კაპიტალდაბანდებათა მოცულობის მატება. გასული წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკის ნამატმა შეადგინა 4 პროცენტი, წლევანდელ პირველ და მეორე კვარტალებში კი 3 პროცენტსაც ვერ მიაღწია. მოსალოდნელია, რომ მესამე კვარტალში ნამატი 2,0—2,5 პროცენტი იქნება. ამრიგად, ახალ გადასახადთა შემოღების საშიშროებამ შეაჩერა ეკონომიკის ზრდა.

ახლახან პრეზიდენტმა კლინტონმა განაცხადა, რომ მისი გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს 4 წლის განმავლობაში — 1996 წლის ჩათვლით, 8 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას.

თეთრი სახლი გაფაციცებით ელოდება ხოლმე ყოველი თვის პირველ პარასკევს: ამ დღეს შრომის სამინისტრო აცხადებს უმუშევრობის შესახებ წინა თვის მონაცემებს და, რაც უფრო გაურკვეველია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მით უფრო დიდი ყურადღებით ელოდება პრეზიდენტი ამ ცნობებს. კლინტონი და მისი გუნდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის თაობაზე, რომ ივლისში უმუშევრობამ 6,8 პროცენტი შეადგინა.

ეს მაჩვენებელი 0,2 პროცენტით ნაკლებია ივნისთან შედარებით, როგორც ცნობილია, უკანასკნელი 22 თვის განმავლობაში ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. გარდა ამისა, ივლისში ქვეყანაში შეიქმნა 162 ათასი სამუშაო ადგილი. ეს გარკვეულწილად ოპტიმისტურად განაწყობს ადამიანებს, მაგრამ ოპტიმიზმი ყველა შტატზე როდი ვრცელდება. მაგალითად, ოჰაიოში, ერთი თვის განმავლობაში უმუშევრობა 5,8 პროცენტიდან 6,9 პროცენტამდე გაიზარდა, ტეხასში ამ მაჩვენებელმა 7,2 პროცენტს მიაღწია, პენსილვანიაში — 7,3 პროცენტს. კალიფორნიაში, ერთი თვის განმავლობაში, უმუშევრობა 9,1 პროცენტიდან 9,8 პროცენტამდე გაიზარდა, ქვეყნის ამ შტატში ასობით კომპანია მუშაობს კონტრაქტით პენტაგონთან, რის გამოც თავდაცვის ხარჯების შემცირებამ გამოიწვია მასობრივი უმუშევრობა.

კალიფორნიაში უმუშევრობის ზრდა კლინტონისათვის მეტად არასასიამოვნო ფაქტია. ერთი წლის წინათ, ამ შტატის ამომრჩეველთა კლინტონს მისცეს ხმათა 47 პროცენტი, ბუშს — 32 პროცენტი, როს პეროს კი — 21. ახლა კი გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ კლინტონის მოღვაწეობას იწონებს კალიფორნიელთა მხოლოდ 30 პროცენტი.

კლინტონის პრეზიდენტობის 6 თვის განმავლობაში მისი მოღვაწეობის შესაფასებლად „ასოშიეიტედ პრესის" საინფორმაციო სააგენტომ მოაწყო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რამაც ცხადყო, რომ მრავალი ამერიკელი არ არის აღტაცებული პრეზიდენტის მუშაობით. 50 პროცენტს მიაჩნია, რომ კლინტონი დაუფიქრებლად ხშირად არღვევს წინასაარჩევნო დაპირებებს. „ასოშიეიტედ პრესის" მიერ აპრილში გამართულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ამ აზრს იზიარებდა რესპონდენტთა 48 პროცენტი, 47 პროცენტს მიაჩნია, რომ პრეზიდენტმა თავი ვერ გამოიჩინა როგორც ძლიერმა ხელმძღვანელმა, რომელსაც ძალუძს მისი ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრა. აპრილში მას ძლიერ ხელმძღვანელად მიიჩნევდა 49 პროცენტი, ახლა კი ამ აზრისაა გამოკითხულთა 51 პროცენტი. მხოლოდ 11 პროცენტმა გამოთქვა სრული ნდობა პრეზიდენტისადმი.

ამრიგად, უჭერენ რა მხარს კლინტონის ეკონომიკურ გეგმას, მრავალი დემოკრატი ხელმძღვანელობს მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით, რათა მთელ ქვეყანას უჩვენოს, რომ დემოკრატებს ძალუძთ გამონახონ საერთო ენა ერთმანეთთან როგორც კონგრესში, ისე — თეთრ სახლში.

• მიმოხილვა მომზადებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს მიერ სპეციალურად საქინფორმისათვის.

მოლაპარაკება დაიწყო

პეკინში დაიწყო ჩინეთ-ვიეტნამის მთავრობათაშორისი მოლაპარაკება საზღვრის საკითხებზე, როგორც ჟურნალისტებს ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ძია სიუანმა უთხრა, ჩინეთის მხარე აპირებს კონსტრუქციულად წარმართოს მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის მთავრობათა მეთაურების დონეზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. დიდი იმედი აქვთ, რომ ერთობლივი ძალისხმევით ორივე მხარე პოზიტიურ შედეგებს მიაღწევს. ვიეტნამის დელეგაციის მეთაურმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ქხოანმა აღნიშნა, რომ ჩინეთ-ვიეტნამის კავშირების ნორმალიზაციის შემდეგ ახლანდელი მოლაპარაკება მიზნად ისახავს „ისტორიის მიერ დატოვებული" საკითხების გადაწყვეტას, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და რეგიონში მშვიდობის განმტკიცებას.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ინფორმაცია-93

თბილისი. „იბერიის" კორესპონდენტს გუშინ საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ცენტრიდან აცნობეს, რომ საქართველოს ფოტოგრაფთა კავშირის წევრებმა თბილისში შექმნეს საგანგებო კომიტეტი, რომელიც წინ აღუდგება იმ თვითნებობას, რასაც ადგილი აქვს მათ მიმართ პრივატიზაციის სახელით.

გასულ ოთხშაბათს, 18 აგვისტოს, ჩუღურეთის რაიონში აუქციონზე გაიყიდა რამდენიმე ფოტოატელიე, მათ შორის, ფოტოატელიე №2 (დ. აღმაშენებლის №78). მისი საწყის ფასად გამოცხადებული იყო 800.000 კუპონი. ატელიე გაიყიდა 72 მილიონ კუპონად. ცხადია, აღნიშნული ფოტოატელიეს კოლექტივი ამ აუქციონში მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

საქართველოს ფოტოგრაფთა კავშირის წევრები მოითხოვენ აუქციონზე უკვე გაყიდული ობიექტების დაბრუნებას, აგრეთვე, ყველა დარჩენილი ფოტოობიექტის ამოღებას დაგეგმილი აუქციონებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფოტოგრაფთა საგანგებო კომიტეტი აცხადებს, რომ მიმართავს პროტესტის უკიდურეს შესაძლო ფორმას.

ზუგდიდი. უახლოეს ხანში ჩამოყალიბდება ენგურესის საგანგებო კომიტეტი, რომელიც ქალაქ ხობიდან უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის მოთხოვნით გაფიცვას დაიწყებს ფოთში, სენაკსა და ხობში. უნდა შეიქმნას აგრეთვე ქალაქ ფოთის საგანგებო კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგება გაფიცვებსა და სხვა აქციებს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ქალაქიდან გაყვანისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით.

ზუგდიდი. შეიქმნა ე. წ. საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო სამსახური მერაბ ჭუხუას ხელმძღვანელობით, ხოლო ქ. ზუგდიდში, ანზორ გვარამიას რედაქტორობით ფუნქციონირებას დაიწყებს რადიოსადგური „თავისუფალი საქართველო".

ტყიბული. ამ დღეებში ეროვნული თავდაცვის ფონდის ანგარიშზე თანხები გადარიცხეს: ქ. ტყიბულის კონტროლის პალატამ, გრ. წულუკიძის სახელობის მაღარომ, ინდუსტრიულმა ტექნიკუმმა და სხვა შრომითმა კოლექტივებმა.

ტყიბული აქაურ ჩაის ნაწარმზე დიდი მოთხოვნილებაა.

ტყიბულის ზონა ყოველთვის განთქმული იყო თითოეულ ჰექტარ ფართობზე ჩაის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობითა და არომატული ჩაის პროდუქციით. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ეს ტრადიცია დაირღვა. გასაკვირი ის არის, რომ მაშინ, როცა ფაქტობრივად არ იზრდება ჩაის მოსავლიანობა, არ შენდება ახალი პლანტაციები, საგრძნობლად იმატა ჩაის ფაბრიკების რაოდენობამ.

დღეისათვის ჩაის ოთხი ფაბრიკა და ჩაის გადამამუშავებელი სამი კერძო კოოპერატივი ფუნქციონირებს. შენდება კიდევ სამი ჩაის ფაბრიკა.

ტყიბული. საწვავის მწვავე დეფიციტის გამო, ტყიბულის რაიონში გადაადგილების ძირითადი საშუალება სარკინიგზო ტრანსპორტია. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ერთადერთი სახალხო მატარებელი გრაფიკის უხეში დარღვევით მუშაობს. და ზოგჯერ რამდენიმე დღისა და კვირის განმავლობაშიც კი შეწყვეტილია ყოველგვარი მოძრაობა.

მატარებლების მოძრაობის შეფერხების ძირითადი მიზეზია ქუთაისი-ტყიბულის დაზიანებული სარკინიგზო ხაზი, რომელიც კარგა ხანია, მოითხოვს შეკეთებას. ამას ემატება სპილენძის ქურდობის ხშირი შემთხვევები, რაც გამოიხატება რკინიგზის ელექტროხაზების დატაცებით.

კრიმინალური ქრონიკა

შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს რომ, აჭარის სატრანსპორტო პოლიციის მუშაკებმა ოზურგეთ-ნატანების გადასახვევზე სატვირთო მატარებლის შემადგენლობის ვაგონ-ცისტერნიდან ბენზინის ქურდობის ფაქტზე დააკავეს [illegible]. მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიმდინარეობს ოპერატიული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებანი ავტოცისტერნის მძღოლის დადგენა-დაკავებისა და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის რაოდენობის განსაზღვრისათვის.

[illegible] ბოროტმოქმედებმა მორგებული გასაღებით შეაღწიეს წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე ღვთისმშობლის ხარების ტაძარში, [illegible] მოიპარეს წინამძღვრის მამა თეიმურაზ (ტოლიშის) შეწირული სამსახურებრივი ჯვარი, ვერცხლის ჯვარი, ვერცხლის ბარძიმი, ბრინჯაოს მოოქროვილი ნაკვეთი ბარძიმ-ფეშხუმი, 2 [illegible] სანთელი და ბრინჯაოს მოოქროვილი ტრაპეზის ჯვარი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

20 აგვისტოს, 10 საათსა და 30 წუთზე, სადგურ სამება-სადახლოს 2564 კილომეტრზე დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა აააფეთქეს სარკინიგზო ბოგირი. აფეთქების შედეგად მატარებლების მოძრაობა დროებით შეწყდა. იმავე დღეს 17 საათზე მატარებლების მოძრაობა აღად[illegible]

ზელიკო მარკოზაშვილი.

18 სექტემბერს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (I კორპუსი ჭავჭავაძის 1) ტარდება საქართველოს ღია ჩემპიონატი მკლავჭიდში.

შეჯიბრი ჩატარდება 60 კგ, 70 კგ, 80 კგ, 90 კგ, 100 კგ და მძიმე წონით კატეგორიებში. დაშვება 2 კგ წონაში გამარჯვებულნი შეეჯიბრებიან ერთმანეთს საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად, რომელსაც გადაეცემა თემურ გიორგაძის სახელობის გარდამავალი თასი და ჯილდო. შეჯიბრში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს. ორთაბრძოლებში ჩაებმება ორი მსოფლიო და რვა ევროპის ჩემპიონი, საქართველოს ყველა უძლიერესი ათლეტი. დაწესებულია პრემიები. აწონვა 17 და 18 სექტემბერს დილის 9 საათიდან სააქტო დარბაზში. შეჯიბრის სპონსორობის მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ აღნიშნულ ტელეფონზე, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაცია.

დასაწყისი 12 საათზე.

«ქარვასლა»

სავაჭრო-საბირჟო ცენტრი „ქარვასლა" გთავაზობთ შემდეგ სერვისულ მომსახურეობას:

— სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების, ლითონის ნაწარმის, მანქანა-მექანიზმების, სანტექნიკური მოწყობილობის, საყოფაცხოვრებო და სხვა საქონლის ყიდვა-გაყიდვას;
— სატვირთო ავტოტრანსპორტით მომსახურეობა წინასწარი დაკვეთით;
— საცხოვრებელი და სამრეწველო ობიექტების პროექტირებას;
— კომერციული ინფორმაციის გადაცემას „რადიობირჟაში";
— ლითონის ნაკეთობებს (სავაჭრო ჯიხურების, გისოსების, კარებების, ალუმინის ვიტრაჟების და სხვა) დამზადებას;
— ბიულეტენ „ქარვასლაში" თქვენი განაცხადებისა და რეკლამის გამოქვეყნებას;
— შუამავლობას „კავკასიის ბირჟაზე" საბროკერო ადგილების მეშვეობით თქვენთვის ხელსაყრელი პირობებით და ფასებით საქონლის ყიდვა-გაყიდვაში;

თუ თქვენ გაგაჩნიათ მომხმარებლის გაზრდილი მოთხოვნილების მქონე საქონელი, ჩვენ მზად ვართ მოვათავსოთ ინფორმაცია „ექსპრესინფორმაციის ფურცელში", რომელიც შემდეგსავე დღეს გავრცელდება ქ.თბილისში ჟურნალ-გაზეთების ჯიხურების მეშვეობით.

დაგვიკავშირდით!
ჩვენთან ურთიერთობა საიმედოა, თქვენ კმაყოფილი დარჩებით!

ჩვენი საკონტაქტო ტელეფონები და მისამართია:
თბილისში: 39-19-81; 37-95-91; 39-18-96; 39-73-60. ყაზბეგის გამზირი № 42, ვაჭრობის და მატერიალური მომარაგების სამინისტროს შენობაში, მეექვსე სართული.
რუსთავში: 19-36-90 გაგარინის № 21 „რუსთავმშენის" შენობა.
ქუთაისში: 5-43-30; 6-51-52; 6-00-79. რუსთაველის ქუჩა № 37
გაზეთ „ქუთაისი"-ს რედაქციის შენობა.

უმაღლესი განათლების მისაღებად კვიპროსზე!

INTERCOLLEGE

საერთაშორისო უნივერსიტეტი „ინტერკოლეჯი" გთავაზობთ აირჩიოთ ყველაზე პრესტიჟული და საქართველოსათვის საჭირო სპეციალობა:

იურისპრუდენცია
ბიზნესის მართვა
გამოთვლითი ტექნიკა
სასტუმროსა და ტურიზმის ბიზნესი
საბანკო საქმე
საქმისწარმოება
მასობრივი ინფორმაციების საშუალებები
საბუღალტრო აღრიცხვა
დიზაინი, კომუნიკაციები

სასწავლებლად მიიღებიან საშუალო სკოლადამთავრებული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები. 4 წლიანი სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მათ მიენიჭებათ ბაკალავრის ხარისხი, მიიღებენ დიპლომს, რომელიც მოქმედებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

„ინტერკოლეჯში" ასწავლიან როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები.

სწავლა ფასიანია. პირველი სემესტრისათვის გადასახადი 3.000 დოლარია. მათ, ვინც წარმატებით ისწავლის, ეძლევათ გარკვეული შეღავათი. სწავლება ინგლისურ ენაზეა. მათთვის, ვინც ვერ ფლობს ენას, სწავლა ინგლისურის შესწავლის ოთხთვიანი კურსებით იწყება, რა თქმა უნდა, ცალკე საზღაურით.

არდადეგების დროს სტუდენტებს საშუალება ექნებათ იმუშაონ.

მგზავრობა აბიტურიენტის ხარჯით.

უმაღლესი განათლების მქონენი ბაკალავრის ხარისხს და დიპლომს მიიღებენ ერთწლიანი კურსის გავლის შემდეგ.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
საშუალო სკოლის ატესტატის ასლი
უცხოეთის პასპორტი (ექვსი ასლი)
ცნობა პოლიციიდან, რომ არა ხართ ნასამართლევი.
საბუთები მიიღება 15 სექტემბრამდე. სწავლა იწყება 15 ოქტომბერს.

ნუ დაკარგავთ შანსს. გაითვალისწინეთ, სწავლა კვიპროსის საერთაშორისო უნივერსიტეტში — „ინტერკოლეჯში" 2-3-ჯერ იაფია, ვიდრე ამერიკასა და ინგლისში. ხოლო აქაური დიპლომი მოქმედია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 37-13-75
მისამართი — მიცკევიჩის, 20. პირველი სადარბაზო, პირველი სართული.

სააგენტო „გალარეკლამა"



ფირმა «PrintShop»
უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
თბილისი. გირხალაძის ქ. № 8
ტელ.: 998696, 997712

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

დადებულია ხელშეკრულება

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ბატონმა თედო ნინიძემ და მოლდოვის რესპუბლიკის პროკურორმა დიმიტრი პოსტოვანმა ქართულ და მოლდავურ ენებზე ხელი მოაწერეს ორივე სუვერენული ქვეყნის პროკურატურებს შორის ხელშეკრულებას სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ.

— ეს უკვე მეორე სახელმწიფოა, რუსეთის ფედერაციის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, რომელთანაც საქართველომ გააფორმა ხელშეკრულება, უახლოეს პერიოდში გეოგრაფია ამ მხრივ კიდევ უფრო გაფართოვდება, თქვა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საზღვარგარეთის ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ბატონმა გივი მერაბიშვილმა.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი.

„ქრისტესმიერმა სიყვარულმა გვიშველა..."

კახაბერ და გოჩა კაკაბაძეებს ყველა იცნობდა გუდაუთაში. დედმამით ნაადრევად დაობლებულ ძმებს განგებამ მოყვასის სიყვარული და პატივისცემა პატარაობიდანვე დაანათლა. ისინი თავიანთ აფხაზ მეგობრებთან ერთად დაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ.

კახა გუდაუთაში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარიამისა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მნათედ მსახურობდა.

— ობლები რომ ვიყავით, ღმერთმა გადმოგვხედა და სწორ გზაზე დაგვაყენა. მე თანდათან გამიტაცა სპორტმა, დავიწყე ვარჯიში კარატეში. ისე გავიწაფე, გუდაუთისა და ბზიფის სკოლებშიც ვატარებდი გაკვეთილებს,— იგონებს კახა.

მერე ომიც დაიწყო...

— გაგრა თითქმის ერთი თვის აღებული იყო.... მე და ჩემი ძმა ეკლესიაში ვიმალებოდით. ღამღამობით კიდეც ვემშვიდობებოდით ერთმანეთს. ზოგჯერ, თავს რომ მარტო დავიგულებდით, ხმამაღლა მივტიროდით გაგრის დაკარგვას. ხმა ჩაგვეხლჩო...

ერთ დღესაც შვიდი აფხაზი ბიჭი, ჩვენი ბავშვობის მეგობრები შემოვიდნენ ეკლესიაში და აფხაზ მღვდელს, მამა ბესარიონს უთხრეს: კახა და გოჩა გასაყვანია სოხუმში, როგორმე უნდა გადავარჩინოთო. მანამდე ჩემს ნამოწაფარ აფხაზ ბიჭუნას მოჰქონდა ჩვენთვის სადილი. ძლივძლივობით გამოვედით მათი შემწეობით სამშვიდობოს. შემდეგ ისიც გავიგეთ, აფხაზმა მღვდელმა ქართველი მღვდელი — მამა ზურაბი გადაარჩინა სიკვდილს, ახლა ვგრძნობ, რომ ჩვენ ქრისტესმიერმა სიყვარულმა გვიშველა.

თბილისში ჩამოსულმა ეკლესიას მიაშურა, ბინად კი სასტუმრო „ივერიაშია". ზოგ თავის ნამოწაფარსაც აქ შეხვდა. კვლავ შეიკრიბნენ ბავშვები. კვლავ ჩაუდგა მათ სათავეში. მონდომებით ემეცადინებიან; მტრედის გუნდივით დასდევენ პატარები ულალატო, კეთილ მწვრთნელს. იციან, მათთვის სულიც არ ენანება... ყოველ შაბათ-კვირას დაჰყავს ბავშვები ეკლესიაში წირვაზე.

ზაფხულის ამ ცხელ დღეებში კახა 70-ზე მეტ ბავშვს წვრთნის.

ლია შილაძე.

ფეხბურთი

ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე გაიმართა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის მეოთხე ტურის კალენდარული შეხვედრები. აღმოსავლეთის ზონის ერთპიროვნულმა ლიდერმა და ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე გურჯაანის „ერქვანი" მიიღო და საკმაოდ დიდი უპირატესობით — 6:1 მოიგო შეხვედრა. 3 ბურთი სტუმართა კარში შოთა არველაძემ გაიტანა, რომელმაც „ჰეთტრიკი" შეასრულა, ორი გატანილი გოლის ავტორია გ. ქინქლაძე, ხოლო ერთი თბილისელთა მცველის გ. ნემსაძის პირად ანგარიშზე მიდის. სტუმრებიდან პრესტიჟის გოლი დინამოელთა კარში თ. დოლიძემ გაიტანა. ზესტაფონის „მარგვეთმა" თავის მინდორზე 3:1 სძლია თერჯოლის „საპორნელას", ხოლო გორის „დილამ" 2:1 მოუგო ხაშურის „იმერიას". დასავლეთის ზონის გუნდების შეხვედრაში ცენტრალური იყო შეხვედრა ქუთაისში, სადაც ადგილობრივი „ტორპედო" ფოთის „კოლხეთი-1913" ხვდებოდა. ავტოქარხნელებმა პირველი დამარცხება — 1:0 აგემეს ზონის ერთ-ერთ ლიდერს. წყალტუბოს „სამგურალმა" 2:1 სძლია სამტრედიის „სამტრედიას", ხოლო გალის „მზიურმა" ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ზუგდიდის „ოდიში".

* * *

პარასკევს, 27 აგვისტოს გაიმართება მეხუთე ტურის მატჩები. თბილისის „დინამო" რუსთავში ადგილობრივ „მეტალურგს" ეთამაშება. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ისევ ეწვევა სოხუმსა და ზუგდიდს. სოხუმის სტადიონზე ადგილობრივი „ცხუმი" გალის „მზიურს" მიიღებს, ხოლო „ოდიში" ოჩამჩირის „ამირანს" ხვდება.

* * *

სტოკჰოლმში გაიმართა მსოფლიოს XV ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში შვეციისა და საფრანგეთის გუნდებს შორის. ანგარიში გახსნეს ფრანგებმა, ეს გააკეთა სოზემ 1:0. როცა მატჩის დამთავრებას ბევრი არაფერი უკლდა, ბროლინმა აღადგინა წონასწორობა — 1:1. ამჟამად საფრანგეთისა და შვეციის გუნდებს 11-11 ქულა აქვთ. ორივე ნაკრებს ამერიკაში გამგზავრების საკმაოდ კარგი შესაძლებლობა გააჩნიათ, რადგან ამ ქვეჯგუფიდან ფინალში 2 გუნდი გადის.

დიდ ინტერესს იწვევს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების „ა" და „ბ" ჯგუფების შესარჩევი მატჩები. „ა" ჯგუფში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა არგენტინელებმა ანგარიშით — 2:1 მოუგეს პერუს ნაკრებს და 6 ქულა დააგროვეს. ფრედ — 1:1 დამთავრდა პარაგვაისა და კოლუმბიის შეხვედრა.

„ბ" შესარჩევ ქვეჯგუფში ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იზეიმეს ბოლივიელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც მორიგ ტურში (7:0) დაამარცხეს ვენესუელის ეროვნული ნაკრები. ბოლივიელებს ახლა 10 ქულა აქვთ და სპეციალისტები თვლიან, რომ ისინი ამერიკის შეერთებული შტატების ფინალური ტურნირის ერთ-ერთ საგზურს მოიპოვებენ. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებმა ბრაზილიელებმა „მარაკანას" სტადიონზე მიიღეს ეკვადორის ნაკრები და 2:0 მოიგეს მატჩი. ბრაზილიის ნაკრებს 6 ქულა აქვს და თავის მინდორზე უნდა ეთამაშოს — ბოლივიის, ურუგვაისა და ვენესუელის ნაკრებ გუნდებს. კარლოს ალბერტო პერეირას აღსაზრდელებმა ყველა შეხვედრა უნდა მოიგონ, რომ ამერიკის ერთი საგზური მოიპოვონ, როგორც ვიცით, ამ ქვეჯგუფიდან ფინალში 2 ნაკრები გადის. მორიგი მატჩები 25 აგვისტოს გაიმართება.

* * *

ესპანეთის ქალაქ ლა-კორუნიაში მოსკოვის „სპარტაკმა" საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა მოაწყო უმაღლესი ლიგის მესამე პრიზიორ „დეპორტივოსთან" და გაიმარჯვა — 4:0.

ჩოგბურთი

აგვისტოს მიწურულს ნიუ-იორკში სტარტს აიღებს ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომელიც დიდი მუზარადის ჩათვლაში შედის და მასში მსოფლიოს საუკეთესო პროფესიონალი მოთამაშეები მიიღებენ მონაწილეობას. მანამდე კი ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში იმართება საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც საუკეთესო სპორტსმენები გამოდიან. ცინცინატის ტურნირში გაიმარჯვა ამერიკელმა მაიკლ ჩანგმა, ინდიანაპოლისის ტურნირის ფინალში კი ამერიკელმა ჯიმ კურიემ დაამარცხა გერმანელი ბორის ბეკერი. კანადის ღია ჩემპიონატის ფინალში მსოფლიოს № 1 ჩოგანმა შტეფი გრაფმა სძლია ამერიკელ ჯენიფერ კაპრიატის და მთავარი პრიზი მოიპოვა. ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში ითამაშებს თბილისელი ლეილა მესხიც.

ნაბრძოლი ხალხი იგონებს

საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა გამართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ორიოლ-კურსკის ბრძოლების 50 წლისთავს. იგი შესავალი სიტყვით გახსნა ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ციციშვილმა.

მოხსენება „კურსკის ოპერაციის 50 წლისთავი და ჩვენი თანამემამულეთა წვლილი ამ ბრძოლებში" წაიკითხა ამ ბრძოლების მონაწილემ, ომის ვეტერანთა კომიტეტის ბიუროს წევრმა, სატანკო ბატალიონის ყოფილმა მეთაურმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოცენტმა შალვა შელიამ.

მოგონებებით კურსკის ბრძოლების ცალკეული ეპიზოდების თაობაზე გამოვიდნენ ამ ოპერაციის აქტიური მონაწილეები: ვიქტორ გინზბურგი, ვენერა ქოიავა, გიორგი დვალიშვილი, კოტე ჩიქოვანი, ვლადიმერ თორდუა და მიხეილ ურუმბეგაშვილი.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი, პროფესორი ალექსანდრე ბერიძე, რომელმაც დამსწრეთ გაუზიარა თავისი შთაბეჭდილება ორიოლ-კურსკის ბრძოლების რაიონში რუსეთის ხელისუფლების მიერ ამას წინათ გამართულ საზეიმო ღონისძიებათა თაობაზე.

ხსოვნა

ზაურ მანიჯაშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა შესანიშნავი მამულიშვილი, თავდაუზოგავი, შრომაში მუხლჩაუხრელი, გამოცდილი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, გურჯაანის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ზაურ გიორგის ძე მანიჯაშვილი.

ზაურ მანიჯაშვილი დაიბადა 1938 წელს კახეთის ერთ-ერთ მშვენიერ სოფელ ჭანდარში, გლეხის ოჯახში. იგი ყმაწვილობიდანვე ეზიარა შრომას, ვაზის სიყვარულს. სწორედ ამან განაპირობა მისი არჩევანი აგრონომი გამხდარიყო. 14 წლის განმავლობაში მუშაობდა კოლმეურნეობის ბრიგადირად, შემდეგ კი სოფელმა თავკაცად აირჩია.

ცოდნამ, შრომაში უღალატობამ მალე გაუთქვა სახელი. წლების განმავლობაში პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა რაიონის პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში, ხოლო 1983 წლიდან 1986 წლამდე იგი მეზობელ ახმეტის რაიონის თავკაცად აირჩიეს. დღესაც დიდი სიყვარულითა და მადლიერებით იხსენებენ ახმეტელები. ზაურ მანიჯაშვილს მშობლიურს, თუ ახმეტის რაიონში არ დაუტოვებია არცერთი ძეგლი, რომელსაც მისი მზრუნველი ხელი არ შეხებოდეს. აკი ამიტომაც თვლიდნენ „თავიანთ სახლის" წევრად კულტურის და ძეგლთა დაცვის თავკაცები.

ოთხმოციანი წლების ბოლოს კი, როდესაც ეროვნულმა მოძრაობამ, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ მთელი საქართველო მოიცვა, იგი უმალ გვერდში დაუდგა ჭეშმარიტ მამულიშვილებს, როგორც შეეძლო, ცდილობდა ცოდნა და გამოცდილება გადაეცა ახალგაზრდებისათვის. ხოლო ძნელბედობის ჟამს, 1992 წლის იანვარში, როდესაც ასე რთული იყო რისკიანი ნაბიჯის გადადგმა, იგი უყოყმანოდ დათანხმდა სათავეში ჩასდგომოდა რაიონის სამხედრო საბჭოს.

დიდია ზაურ მანიჯაშვილის წვლილი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ჩვენი სამხედრო ნაწილებისათვის დახმარებაში. კახური ნობათით დატვირთული არაერთხელ სწვევია მებრძოლებს ფრონტის წინა ხაზზე. ამასთან იგი მზრუნველობასა და სითბოს არ აკლებდა აფხაზეთიდან 500-მდე ლტოლვილს გურჯაანში.

წავიდა ჩვენგან კაცთმოყვარე, მეგობრობის დიდი თაყვანისმცემელი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება და დიდი ტკივილი დაუტოვა თავის ოჯახს და მის ნაცნობ-მეგობრებს, მშობლიურ სოფელსა და რაიონს. ზაურ მანიჯაშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

კონცერნ „გულანის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ სოსოს ძე ვაზაძე

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

რესპუბლიკის მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებების საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო შეგახსენებთ, რომ 1 აგვისტოდან გაიზარდა წერილობითი კორესპონდენციის გადაგზავნის ფასები, რის გამოც მოხდა ძველი სახის კონვერტების მანქანური წესით აფასება.

ამასთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის საწარმოები 1 სექტემბრიდან არ მიიღებენ გადასაგზავნად წერილობით კორესპონდენციას ძველი კონვერტებით და ასეთები დაუბრუნდება გამგზავნს.

კავშირგაბმულობის სამინისტრო.

სააქციო კომერციული ბანკი
„TBC-ბანკი"
აწარმოებს ნებისმიერი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის შესყიდვას.
ბანკი მუშაობს ყოველდღე შაბათ-კვირის ჩათვლით.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 11.
ტელ. 22-06-61

სკბ «ვა-ბანკი»
სააქციო-კომერციული ბანკი „ვა-ბანკი" მოსახლეობისაგან ყველაზე მაღალი კურსით შეისყიდის ამერიკულ დოლარებს.
1 $ = 7000 კუპონი
ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 30ა მე-2 სართ. ვაკის პარკის პირდაპირ
☎ 29-49-76
22-15-19

იყიდება
აგურისა და მოსაპირკეთებელი ფილების ახალი ქარხანა. შენობით ან მარტო დანადგარები.
მუშაობს ქვიშნარზე.
ფასი შეთანხმებით, ნაწილობრივი გადარიცხვა.
ტ: 67-77-27.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 27 აგვისტოს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

[illegible]